საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 18 აგვისტო 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 186 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 186

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მინა ინწკირველის ასული, შვილები: მიხაკო, გიორგი და პოლიკარპე, რძლები: სონა და აგრაფინა, შვილის შვილები: პეტრე და და დარია დოლიძეები, შოთა და შუშანა ვასაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ფილიპე ოქროპირის ძე დოლიძე

რომლის დაკრძალვა მოხდა ს. ამაღლებაში, (გურია) 5 აგვისტოს, დღითი ხუთშაბათს 3 საათზე.)2665 3—2)

აგვისტოს 19-ს ს. გომში (ქართლი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ამხ. ნიკოლოზ კაციაშვილის

გარდაცვალებიდან წელიწად ნახევრის შესრულების გამო. (უ. 2—1)

პირველი სახელმწიფო სანატორიუმი
ბორჯომში
დიდ სასახლეში

გაიხსნა 15 აგვისტოდან. ყველა ავადმყოფები რომლებმაც შემოიტანეს თხოვნები ამ აგვისტოდან

მიღებულნი არიან

და შეუძლიათ მივიდნენ სანატორიუმში ზემოთ ნაჩვენებ რიცხვიდან საღამოს 6 საათამდე. კერძო პირებმა უნდა უნდა იქონიონ თავიანთი ლოგინის საცვლები, ბალიში და საბანი. თვიური გადასახადი მოსამსახურეებისათვის 11,000 მანეთი, კერძო პირთათვის 15,000 მან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სანატორიუმის დირექტორთან ექ. მ. ი. ზანდუკელისაგან. მისამართი: ბორჯომი, სანატორიუმი. (2661—3—2)

საგარეჯოს თემის გამგეობა

ამით აცხადებს რომ კვირას 22 აგვისტოს 1920 წ. დილის 11 საათზე საგარეჯოს თეატრის დარბაზში შესდგება თემის ხმოსანთა

წლიური ყრილობა

ამიტომ ვთხოვთ ხმოსნებს უთუოდ დაესწრონ. (2696—1—1)

თფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი
ამით აცხადებს
რომ გრძელდება სტუდენტების **მიღება ყველა** ფაკულტეტის 1-ელ კურსებზე
ა. წ. 1 სექტემბრამდე

1. **საინჟინერო-მექანიკურზე**, განყოფილებები: მექანიკური, გიდრო-მექანიკური, ელექტრო-მექანიკური და საინჟენერო-საამშენებლო (ქვე-განყოფილებებით: საგზო-საამშენებლო, საინჟენერო-სანიტარული და მელიორატიულ-გიდრო-ტეხნიკური).
2. **სასოფლო-სამეურნეოზე**, განყოფილებები: მცენარეთა საამშენებლო, მესაქონლეობის, და ტყის.
3. **ეკონომიურზე**, განყოფილებები: ეკონომიური და კომერციული.

მიღების წესის გასაგებათ უნდა მიმართონ ინსტიტუტის კანცელარიაში—რუსთაველის პრ. № 19. დილის 9—3 საათ. ნამდვილ სტუდენტების **გარდა ინსტიტუტში მიიღებიან თავისუფალი მსმენელებიც**. რექტორის მოვ. დროებით აღმს. თფილ. პოლ. ინსტ. ორდინ. პროფესორი ა. დიდებულიძე. (2693—1—1)

[illegible] საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში
[illegible] გადამწერი

მოლაპარაკება შეიძლება საინფორმაციო განყოფილ[illegible] 2 საათამდე. (2694—[illegible]

ახალქალაქის მაზრის ერობის ხმოსანთა
პირველი ყრილობა

დანიშნულია ქ. ახალქალაქში კვირას 22 აგვისტოს დღის 12 საათზე. ყველა ხმოსნებისთვის ყრილობაზე დასწრება სავალდებულოა. (2692—1—1)

ახალციხის სამაზრო ერობის
ხმოსანთა ყრილობა

დანიშნულია 28 აგვისტოს, დღის წესრიგი: 1) მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა. 2) გამგეობის მე 5-თე წევრის არჩევა. 3) მთავრობის სესხის აღების შესახებ. 4) შტატების გადასინჯვა. 5) მიმდინარე კითხვები.
ერობის გამგეობა. (2269—3—1)

ოთხშაბათს 18 აგვისტოს მე-7-ე რაიონული კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ. იწვევს მუშათა კლუბში პარტიის წევრთა

საერთო კრებას

საათის 4-ზე, სადაც ამხ. ს. თევზაძე, გააკეთებს მოხსენებას პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ. ყველას ევალება იქონიოს საწევრო ბარათი.
კოლექტივის პრეზიდიუმი. (1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ
ა. წ. 1 სექტემბრიდან იხსნება
მებოსტნეობის პრაქტიკული
სკოლა

პირობებისა და ცნობების მიღება ყოველ დღე 8—12 საათამდე. (მუშტაიდის შესახვევი № 4. ყოფილი საბაღოსნო სკოლა). (ნ. 12—1)

ახალციხის ერობისათვის
საჭიროა მომრიგებელ-მოსამართლე

თხოვნები მიიღება: ახალციხე ერობას. **ერობის გამგეობა.** (2269—3—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—ო.)

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას ესაჭიროება სამი

საგზაო ტეხნიკი

პირობები ხელსაყრელია. მთხოვნელთ შეუძლიათ მიმართონ პირდაპირ გამგეობას ქ. ზესტაფონში. (ნ. 3—1)

სასწრაფოდ

იყიდება ფურნე

თავის მოწყობილებით მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 81 II ვაჟთა გიმნაზიის პირდაპირა. (2686—3—1)

დამფუძნებელი კრების დასვენება

17 აგვისტოდან დამფუძნებელმა კრებამ მუშაობა შეაჩერა. სწორედ ზაფხულის სიცხის დროს მისი მუშაობა ძლიერ ინტენსიური გამოდგა. უკანასკნელი თვის განმავლობაში სხდომები იმართებოდა კვირაში ოთხჯერ. ამ ხანში მრავალი დიდმნიშვნელოვანი კანონი და დეკრეტი იყო მიღებული. მათ შორის საკმაოა გავიხსენოთ ისეთი პირველხარისხოვანი კანონი, როგორიც არის **კოლექტიური ხელშეკრულობა**, რომელიც საძირკველია მუშათა კანონმდებლობისა. სასოფლო-სამეურნეო აღმშენებლობაში დიდი ყურადღების ღირსია ის **სამეურნეო-სასკოლო გეგმა**, რომელიც წარუდგინა დამფუძნებელ კრებას მიწათმოქმედების სამინისტრომ და რომელმაც ახლო მომავალში მთელი ჩვენი რესპუბლიკა უნდა დაფაროს სხვადასხვა ტიპის და საფეხურის სასკოლო სამეურნეო სკოლათა ქსელით. არ გამოვუდგებით მრავალ დიდ მნიშვნელოვან დეკრეტების და შეკითხვების აღნუსხვას. მოვიხსენებთ მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც დამფუძნებელი კრების ყურადღების ცენტრში იდგა უკანასკნელ თვეში. ეს იყო 1919—20 წლის **ბიუჯეტი**. მისი განხილვა მით იყო ძლიერ საყურადღებო, რომ საქართველოს რესპუბლიკამ, რომელიც მხოლოდ ორი წელიწადია არსებობს, მოახერხა შედგენა თავის სახელმწიფო-სამეურნეო გეგმისა თავისი არსებობის მეორე წელსვე. მარტო ეს ფაქტი უკვე დიდი იმედების აღმძვრელია. იმედიანობის კიდევ უფრო დიდს საბუთს იძლევა ბიუჯეტის გარშემო ატეხილი კამათის თვალის გადავლება. ოპოზიციამ გამოიჩინა ნამდვილი დაუნდობლობა. მან სთქვა ყველაფერი ის, რის თქმაც შეეძლო ჩვენი სახელმწიფოს წყობილების შესახებ, უსაყვედურა რესპუბლიკის სათავეში [illegible] ყველაფერი, რის საყვედურ[illegible] ვართ იმედე[illegible] რაფერი ნაკლი [illegible] რესპუბლიკაში ყველა[illegible] სო. ოპოზიციის მიერ [illegible] რამ იყო დამაფიქ[illegible] ლება მისაქცევი. მაგრამ [illegible] წმინდა სინიდისით ვიტყვით; ოპოზიციამ ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი ისეთი ნაკლი, რომლის გამოსწორების იმედი არ ჰქონდეს სახელმწიფოს სათავეში მდგომს პარტიას, ვერც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი დეფექტი, რომელიც შემჩნეული არ ჰქონდეთ რესპუბლიკის მეთაურთ. პირველი განხილვა ბიუჯეტისა—ეს დიდი მოვლენაა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მან მოინდომა დამფუძნებელი კრების მხრით დიდი ენერგიის დახარჯვა.

მომავალი სესიიდან დამფუძნებელ კრებას კიდევ უფრო დიდი საქმეები უდევს წინ: ჯერ ერთი, მან უნდა გაატაროს **1920—21 წლის ბიუჯეტი**. თუ წარსული, უკვე დახარჯული ბიუჯეტის გატარებას მოუნდომა ასეთი დიდი დრო და ჯაფა, მომავალი წლის ბიუჯეტი მოითხოვს გაცილებით მეტს დროს და ჯაფას, ამისათვის კი საჭიროა დიდი წინასწარი მუშაობა და დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციების მხრივ მოითხოვს დიდს წინასწარ მომზადებას. მეორე,—დამფუძნებელ კრებას განზრახვა აქვს სესიის გახსნისთანავე შეუდგეს თავის მთავარ დანიშნულების განხორციელებას—**რესპუბლიკის კონსტიტუციის** მიღებას. ამ პასუხსაგებ საქმეს კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე და წინასწარი მომზადება სჭირდება. კონსტიტუციის განხილვა დაჩქარებას სრულიად ვერ აიტანს, ამ საქმეში სწორედ ათჯერ უნდა გაიზომოს, ერთხელ უნდა გაიჭრას.

ისე რომ, თუმც დამფუძნებელმა კრებამ ოფიციალურად მუშაობა შესწყვიტა, მაგრამ ეს შეწყვეტა არ მოასწავებს სრულს დასვენებას. ოფიციალური მუშაობის გარეშე მის კომისიებს და მცირე კომისიებს მოუწევს უჩინარი წინასწარი შრომა, რომელმაც ნიადაგი უნდა მოამზადოს და უნდა გააადვილოს დამფუძნებელი კრების მუშაობა მომავალ სესიის დაწყებისთანავე.

პრესა

„ნორ-აშხატავორი“ (№ 106) სწერს:

„ახლა ჩვენ ვდგევართ ახალი მოვლენების წინაშე, როცა ბრძოლის ცენტრი რუსეთის ბოლშევიკებსა და მათ მოწინააღმდეგე ძალებისა პოლონეთის ფრონტიდან სამხრეთისაკენ იხრება—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისაკენ.

„სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკები მეტად დაინტერესებული არიან თავიანთ დემოკრატიული წესების შენახვაში, დამოუკიდებლობის დაცვაში. ყოველის მხრით უნდა ეცადონ, რომ ააშორონ ბოლშევიკების იმპერიალისტური მისწრაფებანი თავიანთ სამშობლოს. მაგრამ, მეორე მხრით, მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ სხვა რესპუბლიკათა ცდა და რუსული შავრაზმელების ხიფათი, რომელიც გვემუქრება ვრანგელის სახით. ეს ორი რესპუბლიკა სავსებით ნეიტრალურად უნდა დარჩეს, რომ არ გახდნენ ევროპის იმპერიალიზმის ხელში სათამაშოდ.

ამიერ-კავკასიის ორივე რესპუბლიკის დემოკრატიას უბრძოლნია და უნდა კვლავაც იბრძოლოს მხოლოდ და მხოლოდ თავის იდეალების და სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის და არას დროს არ შეუძლია იარაღად გახდნენ ევროპის იმპერიალიზმისთვის. ამ ღრმა შეგნებით უნდა დაუხვდეს სომხეთის და საქართველოს მშრომელი ხალხი ევროპის იმპერიალიზმის ხრიკებს და მის ბრძოლას საბჭოთა რუსეთის ძალა-უფლების წინააღმდეგ“.

ვალუტის განვითარების პროცესი და მეურნეობის კრიზისის მიზეზები

II

რადგან საზღვარ გარეთ სჭირდებათ მარკები, რათა იყიდონ გერმანიაში საქონელი, ამიტომ მათი ღირებულების დაცემა არ შეიძლება არ დაემჩნეს საერთაშორისო ბაზარს. საზღვარ გარეთ გერმანულ მარკების მოთხოვნილება **განსაზღვრულია**. საზღვარ გარეთ საერთოდ, საჭიროებენ მარკების ისეთ რაოდენობას, რომლითაც შეუძლიანთ იყიდონ გერმანიაში მათთვის საჭირო საქონლების რაოდენობა. საქონლის რაოდენობა, რომელიც ჩვენ შეგვეძლო გაგვეტანა საზღვარ გარეთ ომის შემდეგ, შედარებით პატარა იყო, რის გამოც განსაზღვრული იყო მარკების რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო ამ საქონლის ფასის [illegible]თ. ჩვენ კი [illegible] ნედლი მასალა [illegible] რომლე[illegible] ბულობდით საზღვარგარეთიდან. [illegible] რათ, ჩვენთვის საჭირო იყო გაცილებით უფრო მეტი უცხო ქვეყნების ფულის ნიშნები, რომ გვეყიდნა საზღვარ გარეთ ჩვენთვის აუცილებელი პროდუქტები, ვიდრე უცხოელთათვის ჩვენი მარკები. ამ გარემოების და აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა გამო,—ჩვენ მივიღეთ **დეფიციტი**. რადგან ჩვენ არ შეგვეძლო გაგვეტანა საქონლის ისეთივე რაოდენობა, როგორიც შემოგვქონდა, ჩვენ იძულებულნი გავხდით **გაგვეტანა გერმანული მარკები** და დაგვეფარა ამით ჩვენი გადასახადი ვალდებულებანი. ამის შედეგათ ჩვენ მივიღეთ საზღვარ გარეთ მარკის კურსის სწრაფი დაცემა. იქ ჩვენი მარკები საჭირო აღარ არის, რადგანაც მოგვყიდის რა ჩვენ თავისი საქონელი, იმათ მიიღეს საკმაო ფულის ნიშნები იმისათვის, რომ გადაიხადონ ჩვენგან შეძენილი საქონლის ფასი. იმათ მიიღეს მარკები მხოლოდ სპეკულიატიურ მოსაზრებით, რომ შემდეგში მარკის კურსი აიწევდა.

იმ დროს, როცა საზღვარ-გარეთს შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა მარკებისა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით გაგვეგზავნა იქ მარკების სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა. რაც უფრო მეტი ფულის ნიშნები გაგვქონდა ჩვენ საზღვარ გარეთ, მით უფრო ეცემოდა მათი კურსი და ამასთან ერთად, სუსტდებოდა კურსის აწევის იმედი. ეს პროცესი ჩვენ განვიცადეთ გერმანულ ავსტრიაში. იყო დრო, როდესაც შეუძლებელი გახდა კრონების დიდი რაოდენობის გაყიდვა იმ შემთხვევაშიაც კი, როცა თითო კრონა იყიდებოდა ერთ სანტიმათ, ანუ ღირებულების მეასედ ნაწილად. საშიში იყო, რომ გერმანიისათვისაც დადგებოდა ასეთი დრო და მაშინ, ცხადია, ჩვენ მოსპობილი გვექნებოდა საშუალება შეგვეძინა საზღვარ გარეთ ჩვენთვის აუცილებელი საგნები და ნედლი მასალა.

ყველაზე შესანიშნავია ის, რომ საზღვარ-გარეთ მარკის კურსი ეცემოდა გაცილებით უფრო სწრაფათ, ვიდრე შიგნით. იმ დროს, როცა საზღვარ-გარეთ მარკის ღირებულება უდრიდა სულ 5 პფენინგს, გერმანიაში ის 15—20 პფენინგს ფასობდა.

ავიღოთ რამდენიმეთ გამარტივებული მაგალითი: მანქანა შვეიცარიაში ღირს 1500 ფრანკი. გერმანელმა ფაბრიკანტმა, რომელმაც გაჰყიდა ეს მანქანა შვეიცარიაში არსებულ კურსის—1 მარ.-5 სანტიმის მიხედვით, მიიღო ამნაირათ 300,000 მარკა. მაგრამ გერმანიაში იგივე მარკა ჰღირდა იმავე დროს უფრო მეტი, და ამ მანქანის შესაქმნელად მას დასჭირდა არა უმეტეს 200,000 მარკისა. ამგვარათ, იმან ვალუტაზედ მოიგო 100,000 მარკა. მაშ ის, ვისაც გაჰქონდა საქონელი გერმანიიდან საზღვარ გარეთ, ჰყიდდა იმას იქ ფრანკებზე და შემდეგ სცვლიდა ამ ფრანკებსა მარკებზე, იღებდა მეტათ დიდ მოგებას. ამიტომ ყველა ექსპორტიორები ღებულობდნენ კოლოსალურ მოგებებს, და ექსპორტიორები მდიდრდებოდნენ იმ დრომდის, სანამ გრძელდებოდა მარკის კურსის დაცემა, სანამ საზღვარ-გარეთ მარკის ღირებულება ეცემოდა უფრო სწრაფათ, ვიდრე შიგნით, გერმანიაში ექსპორტიორები დაინტერესებულნი იყვნენ რაც შეიძლება მეტი მარკა და რაც შეიძლება ჩქარა გაეტანათ საზღვარ-გარეთ, რადგანაც მარკის კურსის დაცემა ჰქმნიდა მათთვის რაღაცა პრემიის მსგავსს. ეს იყო ის დრო, როდესაც ასე ბევრს ჰლაპარაკობდნენ „გერმანიის გაყიდვაზე“.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე მესამე მომენტი. მხედველობაში მაქვს ეგრეთ წოდებული „ლტოლვა მარკებისაკენ“. რაკი იყო წარმოდგენა იმისი, რომ მარკის ფასი განაგრძობს დაცემას, ამიტომ გამოჩნდა **რეალურ ნივთების** შეძენის და მარკებისაგან განთავისუფლების მისწრაფება. თუ დეკემბერში მე მქონდა 100,000 მარკა, მე საბუთიანათ შემეძლებოდა მქონოდა იმედი, **რომ თებერვალში იმათი მყიდველობითი უნარი არ შემცირდებოდა.** ხოლო თუ მე დეკემბერში ვყიდდი 100,000 მარკათ ღირებულ საქონელს, თამამად შემეძლო იმედი მქონოდა, რომ ფულის ღირებულების პროგრესიულათ დაცემასთან ერთად, **ჩემი საქონლის ფასი გაცილებით უფრო მეტი იქნებ.** ამის გამო ჩვენ ვხედავდით **ნაღდ ფულიდან განთავისუფლებისა და იმათი საქონლათ გადაქცევის ტენდენციას**. მიუხედავათ საქონლის საზოგადო სიმცირისა, ვაჭრების საწყობები სავსენი იყვნენ, (შედარებით) და ფულის ნიშნები კი ძალიან ცოტა იყო.

ამ მოვლენის განვითარებაში მოხდა გარდატეხა იმ მომენტში, როდესაც დადგა პაუზა, შეჩერება ფულის ფასის დაცემის პროცესში, როდესაც ვალიუტამ დაიწყო გაუმჯობესება. ეს მომენტი დაიწყო დაახლოვებით მარტის ნახევრიდან. პირველად ყოვლისა განსაზღვრული როლი ამ შემთხვევაში ითამაშა [illegible] მომენტმა, რომე[illegible] საერთო პოლი[illegible] რიგ [illegible] მიზეზების [illegible] კვიდრდა ის ა[illegible] მეურნეობის ასაღორძინებლ[illegible] ბელია გერმანიის მეურნეობის აღ[illegible]ძინება, და რომ **გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მსოფლიო მეურნეობა უსათუოდ არის დაინტერესებული.**

ნეიტრალურ ქვეყნებში და ამერიკაში ომის განმავლობაში დაგროვდა დიდძალი საქონელი. ასე იყო ჰოლლანდიაში, დანიაში, შვეციაში, შვეიცარიაში და, განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებში. ეს საქონელი ძნელათ ჰპოულობს მყიდველს. იმას გამო, რომ ჩვენში, ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ფულის ფასი მეტათ დაცემულია, ჩვენ შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ მხოლოდ ყველაზე აუცილებელი მოთხოვნილებები. ზემოთ დასახელებული სახელმწიფონი განსაკუთრებულათ არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ იმისაგან გალატაკებულმა სახელმწიფოებმა კვლავ მოიპოვონ მყიდველობითი უნარი, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყნებს მკვიდრი ვალიუტით მისცემენ მათ საჭირო კრედიტს.

და მართლაც, ამგვარი ხელშეკრულება დადებულია მაგ. ჰოლლანდიასთან. ამ ხელშეკრულების დედა-აზრი შემდეგია: ჩვენ გვეძლევა კრედიტი ნედლი მასალის ლითონების, მატყლის და სხ. შესაძენათ. ჩვენ ვამუშავებთ მატყლსა და ლითონებს, რაც ჩვენ მოგვცემს საშუალებას დამუშავებულ საქონლის ნაწილი საზღვარ გარეთ გავიტანოთ და გადავიხადოთ ნედლი მასალის ფასი: მეორე ნაწილი კი, რომელიც დახარჯული სამუშაო ძალის გამო, შესაბამათ გაიზარდა, რჩება ქვეყანაში, ანდა იმისი ფასით ჩვენ ვიძენთ პირველი საჭიროების ნივთებს. ცხადია, რომ ამგვარ კრედიტების აღმოჩენის დროს ვალიუტის მდგომარეობა უნდა შეიცვალოს; ის გარემოება, რომ გერმანიის განკარგულებაში იძლევიან გადასახად საშუალებებს დიდ თანხების სახით, აძლევს გერმანიას შესაძლებლობას—თავი შეიკავოს საზღვარგარეთ მარკების გატანისგან, რაც თავის მხრივ **შეუძლებლათ ხდის ვალუტის ახალ დაცემას.**

იმავე დროს ვალიუტის კურსზე იქონია თავისი გავლენა მეორე მომენტმა. უკანასკნელ დრომდე დაკავებულ ოლქებიდან შემოჰქონდათ ყველა საქონელი განუსაზღვრელი რაოდენობით, რადგანაც არავითარი სადამოჟნო სისტემა არ არსებობდა. ბოლოს, მოლაპარაკების გზით შესაძლებელი გახდა ამ ეგრეთ წოდებულ „აღმოსავლეთის“ ჰუპრუტანის შევსება. ამასთანავე ამას მოჰყვა სხვადასხვა ფუფუნების საგნების, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შემოტანის აკრძალვების მთელ რიგი. და ამას მოჰყვა ის, რომ მარკები, რომლებითაც წინად ჰყიდულობდნენ ამ საგნებს, უკვე საზღვარგარეთ აღარ გაქონდათ. ამასთან დაერთო შრომის ნაყოფიერების აწევა, მომავალში დიდი მოგებების იმედით, ჩვენი საქონლის საზღვარ-გარეთ გატანის ზრდა (სწორი ციფრები ჯერ არ არის, მაგრამ ფაქტი ცხადია) და ამერიკის მიერ ჩვენი ფასიანი ქაღალდების დიდი რაოდენობის შესყიდვა.

ყველა ამ მომენტებს—სპეკულიატიურს, პოლიტიკურს და სავაჭროს, ემატება კიდევ მესამე მომენტი, რომელიც ეხება მხოლოდ შინაურ ბაზარს.

და ეს უკანასკნელი მომენტი არის განმსაზღვრელი თანამედროვე კრიზისის განმარტებისათვის. ომის შემდეგ ჩვენ შემოვიტანეთ საქონლის დიდი რაოდენობა, რომლის ერთი ნაწილი გადაეცა ვაჭრებს, დანარჩენი კი მოხმარებულ იქნა—ჩვენ იძულებულნი ვიყავით მოგვემატებინა ფასი ამ საქონელზე. ფასები შინაურ ბაზარზე უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ მსოფლიო ბაზრის ფასებს. იმ შემთხვევებშიაც კი, როგორც მაგალითად, როდესაც დაწესებულ იქნა **მტკიცე ფასები რკინეულობაზე და ეს ფასები იყო უფრო დაბალი, ვიდრე მსოფლიო ბაზრის ფასები**, შეუძლებელი იყო რკინეულობის ნორმაში განსაზღვრულ ფასით შეძენა; საჭირო იყო უფრო მაღალი ფასების გადახდა.

ამრიგად, ერთი მხრით, ჩვენ ვხედავთ ფასების სწრაფ ზრდას, მეორე მხრივ, სამუშაო ხელფასის ბევრათ უფრო ნელ მომატებას. ეს განსხვავება გვიჩვენებს, რომ სიძვირის გადიდებასთან ერთად, შინაურ ბაზრის მოხმარების უნარი მცირდება. მასიურ წარმოების პროდუქტები ვერ საღდებოდნენ. მუშება გოდა, მცხოვრებთა სხვა წრეებიც, როგ. მაგალითად მოხელეები, მოსამსახურენი, წვრილი და საშუალო რანტიეები მოკლებულნი იყვნენ თავისი შემოსავლის ფასებთან შეფარდების საშუალებას, შემოსავალი ვეღ ფარავდა საჭიროებას.

ეს შეუსაბამოება სამუშაო ხელფასისა და სიძვირის განვითარებისა,—იყო ზოგიერთ წარმოების დარგში **განსაკუთრებულათ მაღალ მოგებათა მიზეზი**. ასე, ბერლინის კონფექციონები უკანასკნელ დროს იძლეოდნენ 150—100 [illegible] მოგებას. ამას წინად და[illegible] გერმანიის ტვიტის [illegible] კაპიტალზე [illegible] 43 მილიონი მარკა მოგე[illegible] მილიონი მოხმარებულ იქნა [illegible] ების საჭიროებაზე, ხოლო 25% გაიცა დივიდენდების სახით. მოგება, რომელიც მიღებულია სხვა და სხვა წარმოების დარგებში ვალიუტის დაცემის პერიოდში, მეტის მეტად დიდია.

მეორე მხრივ, წარმოების გაზრდასთან ერთად, ჩვენ აღვნიშნავთ მყიდველ წრეების შემცირებულ მოხმარებით უნარს სიძვირის გამო (შინაურ ბაზარზე). ამიტომ დადგა ერთგვარი **შეჩერება გასაღებისა**; საქონლის გაყიდვა მაღალ ფასებში ველარ ხერხდებოდა. იმპორტიორებმა შეაჩერეს საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა, ამიტომ მარკები აღარ გადიოდა უცხოეთში,, მათი ღირებულების დაცემაც საზღვარ-გარეთ შესწყდა, იმ დროს, როდესაც ჩვენი ექსპორტი იქამდის გაიზარდა, რომ ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა გატანილ საქონლის ფასით გადაგვეხადნა შემოტანილ საქონლის ნაწილის ფასი.

დღეს

საბჭოთა ჯარები პოლონეთის ფრონტზე წინ მიიწევენ. ტროცკი მოუწოდებს ჯარს ვარშავის ასაღებად.

ფრანგული ცნობით პოლონეთის ჯარი ზოგიერთ ადგილებში კონტრ-შეტევაზე გადავიდა და უკან დაახევინა საბჭოთა ჯარებს.

პარიზში და ლონდონში მოლაპარაკება გრძელდება რუსეთ პოლონეთის საკითხის შესახებ.

ლონდონის კონფერენციაზე ინგლისის პოლიტიკა არ შეიცვლება.

რუსეთის წარმომადგენელმა ლეგრანმა განუცხადა სომხეთის წარმომადგენელს, რომ საბჭოთა ჯარების სომხეთზე შეტევა ალბათ გაუგებრობათ არის გამოწვეული.

ბოლოს, უნდა დამდგარიყო ისეთი მომენტი, როდესაც შეჩერდებოდა საზღვარ-გარეთ ვალიუტის, ფულის ნიშნების ფასის დაცემა და მარკის კურსი იწყობდა გაზრდას. ეს მოძრაობა დაიწყო მარტის შუა რიცხვებიდან და სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. ღირებულების ამა თუ იმ მიმართულებით შეცვლას მუდამ აჩქარებს სპეკულიაცია, რომელსაც ამგვარ შემთხვევაში დიდი გავლენა აქვს. საზღვარ-გარეთ არის ძალიან ბევრი ფულის ნიშნები. მე ვფიქრობ, რომ იქ არის 15 დან 20 მილიარდამდე მარკა. ნაწილი ეკუთვნის ბელგიის და საფრანგეთის მთავრობებს, ნაწილი კი განაწილდა კერძო პირთა შორის ნეიტრალურ ქვეყნებში. რა წამს მდგომარეობა უმჯობესდება, ეს მარკები მაშინვე გამოაქვთ გასაყიდათ, რაც იწვევს იმათი კურსის დაცემას. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, ეხლა სპეკულიანტური მოსაზრებებით ჰყიდულობენ მარკებს, ამის გამო მარკების ფასი მატულობს გაცილებით უფრო სწრაფათ, ვიდრე ამას უკარნახებენ წმინდა ეკონომიური პირობები.

ჩვენმა ვალიუტამ, ამრიგათ, იანვრის ბოლოდან აიწია 100 პროცენტით, ასე რომ, ეხლა ჩვენ 100 შვეიცარიულ მარკას ვყიდულობთ 1000 მარკათ, იმ დროს, როცა წინათ, თებერვლის ბოლოს 2000 მარკათ ვყიდულობდით. იმის შემდეგ მარკის კურსის აწევა გრძელდებოდა, 25 მაისს 100 ფრ. უდრიდა 744 მარკას). კურსის აწევის გამო ყველაფერი, რასაც კი ვღებულობთ ჩვენ საზღვარგარეთიდან, გვიჯდება ეხლა იმის ნახევარი, რაც გვიჯდებოდა რამდენიმე თვის წინათ (ეხლა უკვე მესამედი ჯდება) მეორე მხრივ იმ საქონელში, რომელიც ჩვენ გავიტანეთ საზღვარგარეთ, ვღებულობთ ნაკლებ მოგებას, ვიდრე წინეთ, რადგანაც განსხვავება მარკის ფასისა საზღვარგარეთ და გერმანიაში მეტათ შემცირდა. ეს ფაქტი მეტათ აჩქარებს ჩვენში არსებულ ფასების მსოფლიო ბაზრის ფასებთან გათანასწორების პროცესს; ჩვენ ეხლა უფრო ახლო ვართ მსოფლიო ბაზრის ფასებთან, ვიდრე იანვარში ვიყავით. ეს გათანასწორება, შეგუება, მით უფრო სწრაფი ხდება, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხში—პურზედ ფასის დაწესებაში, თავისუფალ ვაჭრობას თანდათან უფრო მეტი ეთმობა.

(დასასრული იქნება)

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

„ჩრეზვიჩაიკა“ და წითელი არმია. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ რომელიც განუწყვეტლივ ებრძვის ზოგიერთ წითელ არმიელთა გამხრწნელ მოქმედებას, ბევრი დანაშავე წითელ არმიელი დასაჯა. კომისიამ 15 ივნისს დაადგინა: 100 წითელ არმიელი, რომელთაც გაჰყიდეს სახაზინო ტანისამოსი, დაპატიმრებულ იქნას საკონცენტრაციო ლაგერებში და გამოცხადებულ იქნას ყველა საგარნიზონო ნაწილებში წითელ არმიელების გაფრთხილებით, რომ შემდეგში მსგავსი დანაშაულისათვის უფრო სასტიკათ იქნებიან დასჯილნი, დახვრეტაც კი. („პრავდა“ № 152)

საზავო ხელშეკრულება ლიტვასა და საბჭოთა რუსეთს შორის. 12 ივლისს მოსკოვში ლიტვასა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას ამ ორ რესპუბლიკას შორის. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლათ იყო იოფე, ლიტვის—ნარუშეიჩუსი.

ამ ხელშეკრულობით საბჭოთა რუსეთმა იცნო ლიტვის დამოუკიდებლობა. ორივე სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ორგანიზაცია, ჯგუფი, რომელიც მიზნათ ისახავს მეორე მხარის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლის წარმოებას. აკრძალულ უნდა იქნას ჯარების მოკრება, ისეთი ორგანიზაციისათვის, ან ისეთი საგნების გადატანა, რომელიც მოხმარებულ იქნება მეორე მხარის საწინააღმდეგოთ.

შემდეგ დადგენილია დაბრუნება ურთიერთისადმი ლტოლვილებისა, კულტურული ღირებულებისა, არტისტებისა სასამართლო, ან მთავრობის საქმეებისა საზოგადოებრივი, საქველმოქმედო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქონებისა. ორივე მხარე უარს ამბობს იმ ანგარიშებზე, რომელნიც გამომდინარეობენ ლიტვის და რუსეთის წინანდელი კუთვნილებიდან. ვინაიდან მსოფლიო ომის დროს განადგურებულ იქნა ლიტვა, მას უფლება მიეცა ტყის მოჭრის ათას დესეტინის სივრცეზე რუსეთის სამეურნეო გეგმის მიხედვით. ლიტვის მთავრობას მიეცა აგრეთვე 3 მილიონი მან. ოქრო. პირველ შესაძლებლობისთანავე შეკრულ უნდა იქნას სავაჭრო ხელშეკრულება თავისუფალი ტრანზიტის პრინციპზე. (ხარკოვის „კომუნისტი“ № 158)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

აგვისტოს 17.

ფრანგული ცნობები

პოლონეთის ცნობა. 15 აგვისტო.

ჩრდილოეთისაკენ დიდი ბრძოლა სწარმოებს. ბალშევიკები პოლონელებს პლონსკის ახლო უტევენ. პოლონელებმა ბალშევიკების სამი პოლკი გაფანტეს, ხელთ იგდეს 230 ტყვე და მიტრალიეზები. ულანის პოლკმა სასტიკ შეტევით გაანადგურა ბალშევიკების რაზმი. ოპერაცია კარგათ ვითარდება. პოლონელებმა დაიკავეს კვლავ ნოვომინსკი და ...(დამახინჯებულია). ვარშავის აღმოსავლეთით საბჭოთა ჯარების მესამე და მეექვსე დივიზიებმა კატეგორიული ბრძანება მიიღეს, აეღოთ ვარშავა, რის გამოც მათ დაიწყეს შეტევა რადომინის მიმართულებით, რომელიც დროებით კიდევაც დაიკავეს, მაგრამ შემდეგ ლიტვის დივიზიამ ეს ადგილი კვლავ უკან დაიბრუნა. ხოლმის აღმოსავლეთით გრძელდება მკაცრი ბრძოლები. პოლონელებმა გაარღვიეს ბალშევიკების ფრონტი და დოროგუსკი აიღეს. (დამახინჯებულია) ბალშევიკები ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადარეკეს. მკაცრი ბრძოლების შემდეგ პოლონელებმა აიღეს (დამახინჯებულია) მათი კავალერია, რომელსაც ქვეითა ჯარიც ეხმარება (დამახინჯებულია) სექტორში, ბუდიონის ჯართან ბრძოლას განაგრძობს. პოლონეთის მთავარ სარდალმა ფრონტის შესამოკლებლად ბრძანება გასცა მდ. ბუგისკენ დახევის შესახებ. ამის გამო ქალ. ბროდი დატოვეს.

თათბირი მინსკში.

ვარშავა. პოლონეთის დელეგაცია კვირას მინსკში გაემგზავრა. დელეგაცია შესდგება გარეშე საქმეთა სამინისტროს, საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლებისაგან და სეიმის ყველა პარტიის 9 დეპუტატებისაგან, რომელთა სათავეში სტანისლავ გრაბსკი სდგას. დელეგაციას თან ახლავს ექსპერტები, გენერალი ლისტოვსკი პირად მდივნათ და აგრეთვე ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელი. პოლონური გაზეთები იუწყება, რომ ორშაბათს მისია მინსკში ჩავაო.

მილიერანი ენის დეპარტამენტში.

მილიერანმა თავის მოგზაურობის დროს ინახულა ენის დეპარტამენტიც, სადაც მკაცრი ბრძოლები სწარმოებდა, და რომელიც ამიტომ მეტათ დაზიანდა. მილიერანი დარწმუნდა, რომ სცხოვრებლებს მეტად დიდი ენერგია გამოუჩენიათ ამ სამეურნეო და სამრეწველო რაიონის აღდგენაში. ამ რაიონის ზარალი 22—23 მილ. მანეთს აღემატება. წარმოების აღსადგენათ ყოველგვარი ზომაა მიღებული.

თათბირი.

პარიზსა და ლონდონში მოლაპარაკება სწარმოებდა შაბათს და კვირას პოლონეთისა და რუსეთის საკითხში შეთანხმების მიზნით, პალეოლოგმა შაბათს მიიღო ჰარისონი. ამერიკის საქმეთა რწმუნებული, გრაფი ბონინ ლონგარი, იტალიის ელჩი და ლორდი დერბი.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება, როგორც ლონდონში, ისე პარიზში, შემარიგებელ ხასიათს ღებულობსო, რაც იმის ნიშანია, რომ მალე სრული შეთანხმებაც მოხდებაო.

მილიერანი და ლოიდ ჯორჯი.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ მილიერანი და ლოიდ-ჯორჯი ერთმანეთს არ შეხვდებიან. ბრიტანეთის პრემიერი სააგარაკოთ წავიდა.

მინსკის მოლაპარაკება.

მინსკში გამართული მოლაპარაკება საერთო ყურადღებას იპყრობს. თუ პოლონეთის დელეგატებმა დღეს დილით რუსეთის საზღვრებზე გადასვლა მიასწრეს და მინსკში მოხვდნენ, მაშინ სხდომის შემადგენლობა სრული იქნება.

მილიუტინის მისია.

მილიუტინი და საბჭოთა დელეგაციის ორი სხვა წევრი, რომლებიც გაემგზავრნენ მოსკოვიდან მთავრობასთან პირადათ მოსალაპარაკებლად, გუშინ ღამით უნდა მოსულიყვნენ რეველში და შემდეგ მოსკოვში ჰაეროპლანით უნდა გადაფრენილიყვნენ.

კამენევის დეპეშა.

გაზ. „დეილი ნიუსი“ სწერს: კამენევმა დეპეშით აცნობა მოსკოვში თავის მთავრობას გამოქვეყნებულ საზავო პირობების აუცილებლად მიღების შესახებ. ამასთანავე წითელი ჯარი ვარშავის ასაღებად ყოველ ღონეს ხმარობს ასე, რომ ვარშავა აუცილებლად დაეცემა.

ინგლისის პოლიტიკა.

ლონდონის კონფერენციაზე ინგლისის პოლიტიკა არ შეიცვლება და ისევ ძველი დარჩება.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიულეტენი.

17 აგვისტო.

ტროცკის ბრძანება

მოსკოვი 15 აგვ. (რადიო) სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ტროცკიმ შემდეგი მოწოდებით მიმართა წითელ არმიას, რომელიც ამ ჟამად თეთრგვარდიელთა პოლონეთის წინააღმდეგ იბრძვის.

„გმირებო, თქვენ დაამარცხეთ ჩვენზე იერიშით მოსული თეთრი პოლონეთი. მიუხედავათ ამისა პოლონეთის მთავრობას არ სურს ზავი. პილსუდსკიმ და მისმა აგენტებმა იციან, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობას არვინ ემუქრება რომელსაც მუშათა და გლეხთა რუსეთი იმაზე ფართო ტერიტორიას, რასაც აძლევდა ანტანტა მაგრამ პილსუდკის ეშინია, რომ ანგარიშის მიცემა არ მოუხდეს ხალხთან იმის გამო, იმედს ამყარებს საფრანგეთ ინგლისის დახმარებაზე და ამიტომ გაურბის მოლაპარაკებას. ამის აშკარათ აღიარებას ის ვერ ბედავს. პოლონეთის დელეგატები გვათამაშებენ—თავის დროზე არ ცხადდებიან და თუ მოდიან, რწმუნება არ მიაქვთ თან. ვარშავის რადიო სადგური არ ღებულობს ჩვენს პასუხს, აი პოლონეთის მთავრობა თავს იკატუნებს, რომ არ მიუღია ჩვენი პასუხი და ასე იქცევიან მაშინ, როცა ჩვენ მოგვეპოვება ვარშავის რადიო-სადგურის ხელწერილი მიღებული რადიოსი.

ახლა ისე, როგორც ომის პირველ დღეებში ჩვენ გვინდა ზავი, და სწორედ ამიტომ ჩვენთან თამაშზე ხელი უნდა ავაღებინოთ პოლონეთის გაკოტრებულ მთავრობას.

წითელო ჯარო, წინ! გმირებო შეუტიეთ ვარშავას. გაუმარჯოს მუშათა-გლეხთა წითელ არმიას!

სამხედრო ცნობა 16 აგვისტო.

მოსკოვი, 16 აგვისტო (რადიო) მლავის რაიონში სალდაუსთან მკაცრი ბრძოლის შემდეგ წამოვიყვანეთ 117 ტყვე. მკაცრი ბრძოლაა მდ. ვირას რაიონში.

ნოვოგიორგევის და ზეგრტის რაიონში მკაცრი ბრძოლაა. წამოვიყვანეთ ტყვეები ბრძოლა სწარმოებს რადიმინ-ოკუნევის ფრონტზე.

ვლადიმირ-ვოლინის რაიონში ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, რომელიც შეტევაზე გადმოვიდა გრუბოშევის რაიონში.

ბროდის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია რამეე ტოპორევის რაიონში და დაიკავა რაძეხუვის სამხრეთით სოფლები.

მდ. დნესტრის და შავი ზღვის რაიონებში სიწყნარეა. ყირიმის მიმართულებით მდ. დნეპრის სამხრეთ ნაპირად ბრძოლა გრძელდება.

16 აგვისტო.

მოსკოვი, 17 აგვისტო (რადიო) ნოვოგიორგევსკის და ვარშავის ჩრდილო-აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ხელჩართულ ბრძოლაში მტერი განდევნა და დაიკავა რამდენიმე სოფელი, მდ. ვირას დასავლეთით. წამოიღო 6 ზარბაზანი, 5 ტყვის მფრქვეველი და წამოიყვანა ტყვეები.

აღმოსავლეთ გალიციაში სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა 14 აგვისტოს დაიკავა ქ. ქ. სოლი და ბროდი.

ტარნოპოლის რაიონში შეტევა ვითარდება.

მდგომარეობა პოლონეთში.

ნაუენი, 13 აგვ. (რადიო) ვარშავაში წარმოუდგენელი პანიკაა. სადგურზე, მოსაგერებელი შეტაკებები ხდება. ქალაქი დასტოვა ბერძნების გენერალურმა კონსულმა. ის პრაგით პარიზს გაემგზავრა. დრო-გამოშვებით რუსები ქალაქს ყუმბარებს უშენენ. ვარშავს იცავს სამი სათადარიგო დივიზია. საუკეთესო სანგრებია ქალაქის გარშემო გაკეთებული, გაყვანილია მავთულ-ხლართები; ფრანგი აფიცრები ცდილობენ დაეხმარონ პოლონელებს. რამდენათ ახლოსაა ფრონტი, იმდენათ მდგომარეობა პანიკურია. ყველა გზები გავსილია ლტოლვილებით.

სამხრეთ სლავიაში.

რეველი, 7 აგვისტო. იტალიურ გაზეთების ცნობით 11 ივლისს სპალატოში სერბთა ნაციონალური კონფერენციის დამთავრების შემდეგ კროატების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა სერბი აფიცერი მავრიკოვიჩი თავს დაესხა იტალიის იტალიის კრეისერ „პული“-ს აფიცრებს. სერბის აფიცრები ბრბოს შეუერთდნენ. კრეისერიდან გაგზავნილთ სროლა აუტეხეს. პარიზში არსებულ სამხრეთ სლავიის პრესა ბრალს სდებს იტალიელებს, რომელთაც კრეისერიდან სერბებს სროლა აუტეხეს. სპალატოში მომხდარმა ამბებმა შეტაკება გამოიწვიეს ტრიესტშიაც, სადაც რევოლვერით მოჰკლეს ვიღაც იტალიელი. ამის საპასუხოდ იტალიელების ბრბო თავს დაესხა სამხრეთ სლავიის კლუბს და სრულიად გაანადგურა ის. შემდეგ ბრბომ სამხრეთ სლავიის საკონსულოსთან რამდენიმე კაცი მოჰკლა. ამის გამო „ფოსიშე ცაიტუნგი“ იტყობინება, რომ სამხრეთ სლავიაში ემზადებიან მობილიზაციისათვის. 14 ივლისს სამხრეთ სლავიამ ულტიმატუმი წარუდგინა იტალიას და მოითხოვა: 1) დიპლომატიურ დაკმაყოფილება, 2) ზარალის ანაზღაურება სავსებით და დამნაშავეთა დასჯას. თავის მხრით იტალიამაც ნოტით მიმართა სამხრეთ სლავიის და მოითხოვა მომხდარი ამბების გამოძიება.

გერმანული პრესა ვრანგელის შესახებ.

ნაუენი, 15 აგვისტო (რადიო.) გერმანიის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ინგლისისა და საფრანგეთს შორის უთანხმოებას ვრანგელის ცნობის საკითხში, გაზეთები ჰფიქრობენ, რომ უთანხმოებანი რუსეთ-პოლონეთის საკითხებში. გაძლიერებული საფრანგეთის მიერ ვრანგელის ძლიერ სწრაფათ ცნობით, ეს—პირველი სერიოზული საფრთხეა ინგლის-საფრანგეთის მეგობრობისათვის. საფრანგეთის მიერ ვრანგელის ცნობას რუსები მშვენივრათ გამოიყენებენ პოლონეთთან, ამ საფრანგეთის საყვარელ შვილობილთან ომის გასაგრძელებლათ გერმანიის სამხედრო ექსპერტები ვრანგელის ცნობას სთვლიან ფარსად, რადგანაც უკანასკნელი სრულიადაც არ არის იმის ღირსი, რომ იმას გაეწიოს ანგარიში, როგორც სერიოზულ ძალას, საბჭოთა ჯარებს შეუძლიანთ იმის დამარცხება ყოველ მომენტში. ის ავანტიურისტია, რომელიც ჰყიდის ყირიმის ნედლ მასალას და ყველა მასალებს აძლევს კონცესიებს ინგლისელებს და ფრანგებს, რომლებიც იმას აწვდიან იარაღს.

გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს, რომ საფრანგეთის მიერ ვრანგელის ცნობა ეს პოლიტიკური მანიფესტაციაა ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ.

გაზ. „ფრეიჰეიტი“ მიუთითებს იმაზე, რომ საფრანგეთის მხრით პირდაპირ სიგიჟეა ინგლისთან წაჩხუბება ეხლა, როდესაც საფრანგეთი ასე მარტოდაა.

საფრანგეთის ნოტა ამერიკას.

ლიონი. 16 აგვისტო. (რადიო) მილიერანმა გაუგზავნა შეერთებულ შტატებს ნოტა, რომელშიაც მიუთითებს იმ ერთსულოვნებაზე, რომელიც არსებობს ორივე სახელმწიფოთა შორის პოლონეთის საკითხში. ორივე ქვეყნის შეთანხმებით საჭიროა მიღება ყველა ზომებისა, რომ მიღწეულ იქნას ზავი რუსეთსა და პოლონეთს შორის. ადასტურებს რა ამერიკის ხალხის სურვილს უშველოს რუსეთს, მილიერანი ამბობს, რომ საფრანგეთი არას დროს არ ყოფილა ვილსონის 14 პუნქტის წინააღმდეგ და რომ ის იცნობს მხოლოდ იმ ზავს რუსეთსა და პოლონეთს შორის, რომელიც შესაფერისი იქნება ამ 14 მუხლისა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

17 აგვისტო.

ყურადღება რუმინეთს და ბრძოლა ბალშევიზმთან.

პარიზი, აგვ. 1. „ტანი“ წინადადებას იძლევა მეტი ყურადღება მიაქციონ რუმინეთის მდგომარეობას, ვინაიდან მას ცენტრალური ადგილი უჭირავს. შესაძლებელია რუმინეთი გახდეს იმ არხად, რომლითაც ბალშევიზმი ევროპაში გადავა. ბალშევიზმის საფრთხე მოელის აზიის ნახევარს და ევროპის $^3/_4$-ს, ამ შემთხვევაში ყველა მოკავშირე—დიდი და პატარა—დაინტერესებული უნდა იყოს ცივილიზაციისა და მთლიანი ფრონტის შენახვით. ამიტომ უნდა დავანებოთ თავი მოკავშირეთა პატარა და დიდ სახელმწიფოებად დაყოფას, უნდა დავანებოთ თავი ყოველგვარ მერყეობას, რათა გავაერთიანოთ აღმოსავლეთი და დასავლეთი ბალშევიზმთან საბრძოლველად.

დეცენტრალიზაციის საკითხი იტალიაში

რომი, აგვისტოს 7. „კორიერე დე ლა სერა“ იუწყება: რომში სამხრეთ იტალიის და იტალიის კუნძულის დეპუტატების გაერთიანებული თათბირი შესდგა. განიხილეს საკითხი დეცენტრალიზაციისა და სამხრეთ იტალიაში და კუნძულებზე ფართო თვითმართველობების შემოღების შესახებ. გაზეთი ფიქრობს, რომ ამ კანონპროექტს პალატა თანაგრძნობით შეხვდებაო.

დემოკრატიულ რუსეთს უნდა დაეხმაროს საფრანგეთი.

პარიზი, აგვისოოს 3. „ლ' ანტანტში“ დეპუტატი შარლ ლებუვი სწერს: „ნუ თუ საფრანგეთი კვლავ დათანხმდება იყოს პოლონეთის საკითხში ინგლისის გავლენის ქვეშ. ლოიდ ჯორჯი არაფრით არ არის დავალებული რუსეთის პატრიოტებიდან, რომლებმაც იხსნეს საფრანგეთი 1914, 1915 და 1916 წელში, მაგრამ საფრანგეთი ამას ვერ დაივიწყებს. მან არ უნდა უყუროს გულზე ხელ-დაკრეფილი სისხლიან ტრაგედიას, რომელსაც ამ ჟამად პოლონეთი განიცდის. საფრანგეთი არა ერთხელ დაპირდა დახმარებას რუსეთს. საფრანგეთმა მოისმინა ლენინთან და ტროცკისთან ინგლისის მოლაპარაკება. მაგრამ რუსეთის პატრიოტებმა უნდა იცოდენ, რომ პარიზს არ შეუძლია იყოს მემარცხენე, ან მემარჯვენე დემაგოგების ხელში. საფრანგეთი ყოველთვის პატივს სცემდა რუსეთის ეროვნულ დროშას და მომავალშიაც სცემს მას პატივს. ნამდვილი რუსეთი არის არა წითელი, არამედ დემოკრატიული, რომელიც მზათ არის სხვა და სხვა ერებს პატივით მოეპყრას. ამ დემოკრატიულ რუსეთს უნდა დაეხმაროს საფრანგეთი.

მოკავშირეთა მოთხოვნილებები.

პარიზი. მილიერანმა ოფიციალურად განაცხადა: გარდა რუსეთის ძველი ვალების მოკავშირეებმა აუცილებლად უნდა მოითხოვონ: 1) სახალხო თათბირის მოწვევის საშუალებით დამტკიცება იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა მართლაც არის გამომხატველი რუსი ხალხის ნება-სურვილისა, 2) შეერთებულ შტატების მონაწილეობის მიღება იმ კონფერენციაში, რომელიც რუსეთის საკითხის გამო შესდგება ლონდონში, 3) ამავე კონფერენციაზე, უნდა მიიღოს მონაწილეობა გენ. ვრანგელის და რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლობაც.

საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვება ეკონომიურად.

პარიზი. 3 აგვ. „ტანი“ იუწყება: ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩის შალორმანის მოქმედებას დიდი გავლენა აქვს საფრანგეთსა და გერმანიას შორის ეკონომიურ დაახლოვების საკითხზე. გაზეთ „დევასის“ ცნობით დეპუტატ ლორანს განუცხადებია: ჩემი წადილი არის მილიერანის ეკონომიურ დირექტივების შესრულებაო. საფრანგეთს სურს გერმანიის მთავრობასთან ერთად შექმნას ბრძნული ეკონომიური პოლიტიკაო.

მანქანები და სხვა საქონელი რუსეთისთვის.

ლონდონი. 6 აგვ. „ტაიმსი“ იუწყება, რომ ლონდონში ყოფნის დროს კრასინმა რუსეთში მანქანები და სხვა საქონელი შეიტანაო.

კრასინი და ბალშევიკური პროპაგანდა.

ლონდონი. „მორნინგ პოსტი“ იუწყება: საბჭოთა მთავრობის დიპლომატია კრასინს გაურისხდა. განრისხების მიზეზია ის მოვლენა, რომ კრასინმა შესრულა თავისი პატიოსანი სიტყვა და ინგლისში არ გასწია ბალშევიკური პროპაგანდა.

დანგრეული რუსეთი ევროპისთვის საფრთხეა.

რომი 7 აგვ. „ილ-სეკული“ სწერს: ბონარ-ლოუმ თემთა პალატაში განაცხადა, რომ რუსეთიდან დაბრუნებულ დელეგაციის დასკვნა არ არის ერთ სულოვანი და ინგლისის მთავრობას არა აქვს საფუძველი შესცვალოს თავისი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ. „დეილი გეროლდი“ პირიქით, აღნიშნავს ერთსულოვნებას მუშათა დელეგაციისას, რომელიც, თითქოს საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებას მოითხოვს. მათის განცხადებით რუსეთს მეტად აკლია პირველი საჭიროების საქონელი. დანგრეული და გავერანებული რუსეთი ევროპისათვის დიდი საფრთხეა და ამ საფრთხეს ანგარიში უნდა გაეწიოს.

სომხეთში

სოც.-დემ. მიმართვა.

ერევანი. აგვ. 15. სომხეთის მუშათა სოც. დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა მიმართოს მსოფლიო პროლეტარიატს პროტესტით რუს-ადერბეიჯან-ოსმალეთის ძალების მოქმედების გამო, რომელიც მიმართულია სომხეთის ხალხისა და მისი დამოუკიდებლობის მოსპობისაკენ.

სამხედრო ბეგარა.

დამტკიცდა ახალი კანონი სამხედრო ბეგარის შესახებ. ამ კანონის ძალით ჯარში არ გაიწვევენ ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთ, როგორც მაგალითად: რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის, მილიციის და სხვა.

ხორენის და შირინიანის დახვრეტის შესახებ.

„არაჩის“ ცნობით: დარალაგეზის კომისარმა გამოუგზავნა მთავრობას დაწვრილებითი ცნობები ხორენისა და შირინიანის წამებისა და დახვრეტის შესახებ. ისინი საშინლად აწამეს და დახვრიტეს, შემდეგ ხმლითა და ხიშტებით დაასახიჩრეს. დახვრიტეს აგრეთვე ცისიანის კომისარი ყაზარიანი და სასურსათო კომისარი გეხამიანი. იმათი ცნობებით დაშნაკელებისა და საზოგადო მოღვაწეების სახლები აიკლეს და გაცარცვეს. მოწმეები შეძრწუნებულნი მოგვითხრობენ ბოლშევიკების მოქმედების შესახებ. დასახელებულ პირებს გარდა დახვრიტეს: პოლოს ფარსიანი, დავით და გასპარ გალუსტიანები, ა. მალინციანი, ტერ-დავითიანი და სხვები. ზოგიერთი საზოგადო მოღვაწეები სადღაც დაიკარგნენ.

ნახიჩევანში.

„შირაკი აზატავორი“ სწერს: სომხეთა მოწინავე პოზიციები ნახიჩევანზე 7 ვერსითაა დაცილებული. ჯავშნიანი მატარებელი ორჯერ იყო ნახიჩევანში, მაგრამ მტერი ვერ იხილა, ნახიჩევანში ძალიან ცოტა მცხოვრებლები დარჩენ დაარსებულია რევოლიუციონური კომიტეტი სომხეთის მზვერავებს აგვისტოს 10 რევოლიუციონური კომიტეტის რაზმთან შეტაკება ქონდა. მზვერავებმა დაატოვებიეს მტერს 5000 პატრონა და ორი ტყვიისმფრქვეველები. ამავე რაზმს ჩვენებმა წაართვეს 30 ფუთი ხორბალი.

საბჭოთა რუსეთი და სომხეთი

აგვისტოს 16 ტ. ა. ბეგზადიანმა ინახულა საბჭოთა რუსეთის რწმუნებული ბ. ვ. ლეგრანი და აუწყა მას დეპეშით მიღებული ცნობა საბჭოთა რუსეთის ჯარების მხრივ აგვისტოს 10 შეთანხმების დარღვევის შემთხვევის შესახებ. ლეგრანმა უპასუხა: თუ ეს შემთხვევა მართალია, ალბად, გაუგებრობით არის გამოწვეული და შეპირდა, რომ კატეგორიულ განკარგულებას გავსცემ, რათა რუსეთის საბჭოთა ჯარის ნაწილებმა დაიცვან აგვისტოს 10 შეთანხმებაო. ლეგრანმა განაცხადა, რომ კავკავში დაპატიმრებულ სომხეთის კონსულის განსათავისუფლებლად გაცემულია განკარგულება. ლტოლვილების საკითხის შესახებ ლეგრანმა განაცხადა, რომ მან დაავალა თავის თანაშემწეს ს. მ. ტერ-გაბრიელიანცს ამის შესახებ ცნობების მოწოდება. (სდს).

ქუთაისში

ყურძნის მოსავალი და სიმინდის ფასები.

თანამად ქუთაისის ერობის ცნობებისა დასავლეთ საქართველოში ყურძნის კარგ მოსავალს ელიან. მიწის მუშები ერთხმად აღიარებენ, რომ დასავლეთ საქართველოს ყურძნის ასეთი მოსავალი დიდი ხანია აღარ უნახავსო. ერობათა დაწესებულებებმა ვენახის წამლობას თავის დროზე მიაქციეს ყურადღება. ზოგიერთ ადგილებში გლეხები უკვე ყიდიან ყურძნის მოსავალს, რომ ამით სიმინდი შეიძინონ. სიმინდი ქუთაისის და სამტრედიის ბაზარზე ფუთი 2000—2200 მან. ფასობს.

ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.

სამაზრო ადმინისტრაცია იღებს ზომებს ტყიბულის რაიონში ძარცვა-გლეჯის აღმოსაფხვრელად. ყაჩაღებს ხელმძღვანელობს სირბილაძე და ნანიკაშვილი. სამაზრო ადმინისტრაცია ჩაუსაფრდა ყაჩაღების ბრბოს. რამოდენიმე დაიჭირა და ერთი მეთაურთაგანი კიდევაც მოჰკლა. ყაჩაღთა თარეში შენელდა (სდს).

ახალი ამბები

✦ **ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.** ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის შესახებ. პროექტის განმარტებით ბარათში ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს ეკონომიურ მდგომარეობის მერყეობას, რასაც იმით ხსნის, რომ საქონელი ჩვენში მეტი შემოაქვთ, ვიდრე აქედან გააქვთ: ეს მოვლენა არის აგრეთვე უმთავრესად მიზეზი ფულის კურსის დაცემისა. ქართულ ბონების კურსის განსამტკიცებლად სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ვალიუტის შექმნა და ეკონომიური მდგომარეობის გამტკიცება. ყველა ამისათვის კი აუცილებელია შემოსატან საქონლის შემცირება ერთის მხრივ და გასატან საქონლის გაძლიერება მეორეს მხრივ. არსებული მოქმედი კანონი ვერ არის ფუფუნების საგნების შემოტანის შემზღუდველი. ამის გამო საქართველოში შემოდიოდა გამოუსადეგარი საქონელი, რაც ამძიმებდა ჩვენს ბალანსს. ამ გამოუსადეგარ საქონელს ასაღებდნენ საქართველოში და აღებული ფულით ყიდულობდნენ ნედლ მასალას, ან ოქროს და მიეზიდებოდნენ მას საზღვარგარეთ. სახელმწიფოს ეკონომიურ კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფუფუნების ზოგიერთი საგნების შემოტანა აიკრძალოს. ასეთი ზომა არა მარტო სახელმწიფო ბალანსის მდგომარეობას გააუმჯობესებს, არამედ ეროვნულ მრეწველობის აღორძინებასაც ხელს შეუწყობს. ფინანსთა მინისტრის მოხსენებას თან ახლავს სია იმ

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება

საბერძნეთი.

საბერძნეთი კონსტიტუციური მონარქიაა. მოქმედებს 1864 წლის კონსტიტუცია, რომელიც შემდეგ რამოდენიმედ შეიცვალა. საბერძნეთის კონსტიტუცია განიცდის ბელგიის კონსტიტუციის დიდს გავლენას.

სახელმწიფო ეკლესია და სარწმუნოება მართლმადიდებელი ქრისტიანობაა. ახალი სარწმუნოების ქადაგება აკრძალულია.

უზრუნველყოფილია მართლმსაჯულების საჯარო ხასიათი. არსებობს ნაფიცთა სასამართლო. მოსამართლის გადაუყენებლობა, თანასწორობა კანონის წინაშე. უფლება კრების, კავშირის და სხ. სწავლა თითქმის უფასოა. მონობა აკრძალულია. მონა რაკი შესდგამს ფეხს საბერძნეთის ტერიტორიაზე, თავისუფალი ხდება.

მეფე უპასუხისმგებლოა და ხელშეუხებელი. ყოველივე ხელისუფლება ხალხიდან მოდისო—ამბობს კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს და პარლამენტს. მათვე ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა. კანონს ამტკიცებს მეფე. მასვე აქვს აბსოლუტური ვეტოს უფლება. მეფე იწვევს პარლამენტს. თუ პარლამენტი დროზე არ იქნა მოწვეული, ის თავის ნებით იკრიბება მეფეს შეუძლიან გადასდოს პარლამენტის სესია მხოლოდ 40 დღით. შეუძლიან აგრეთვე დაითხოვოს პარლამენტი. იგი ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს. მის ხელშია ამნისტია და შეწყალება, (გარდა მინისტრთა), ომი და ზავი, ხელშეკრულობის დადება და შეიარაღებულ ძალთა ბრძანებლობა.

აღმასრულებელ ხელის უფლებას მეფე ანხორციელებს მინისტრების საშუალებით. მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. პასუხისგებაში მათ აძლევს პარლამენტი. ასამართლებს საგანგებო სასამართლო, რომელსაც თავმჯდომარეობს არეოპაგის (უმაღლესი სასამართლოს) თავმჯდომარე. მათი შეწყალება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. მინისტრი არ შეიძლება იყოს მეფის გვარეულობიდან გამოსული.

პარლამენტი ერთ პალატიანია. ეს არის იშვიათი გამონაკლისი კონსტიტუციურ ისტორიაში. პარლამენტის ანუ დეპუტატთა პალატის წევრთა რაოდენობა შეუძლებელია 150 ნაკლები იყოს.

პალატა ოთხი წლით ირჩევა. არჩევნებია პირდაპირი და ფარული. საყოველთაო არ არის: ქალებს არ აქვთ პოლიტიკური უფლება. სამღვდელოება მოკლებულია საარჩევნო უფლებას.

კანონის განმარტების უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს.

არის დეპუტატთა იმუნიტეტი ანუ შეუვალობა. მათ ეძლევათ გასამრჯელო. საგანგებო სესიების დროს ეძლევათ მხოლოდ საგზაო.

მართლმსაჯულება მეფის სახელით სწარმოებს. მეფეს არა აქვს არავითარი სხვა უფლება, გარდა იმისა, რაც კონსტიტუციით არის აღიარებული.

კონსტიტუციის მთავარი მუხლები არ იცვლება. გადაისინჯება მხოლოდ მეორეხარისხოვანი უმნიშვნელო მუხლები. მაშასადამე არის მხოლოდ ნაწილობრივი გადასინჯვა. როდესაც პალატა ორს ერთიმეორეს მომდევნო სესიაში მიიღებს ცვლილების საჭიროებას თავის წევრთა სამი მეოთხედის უმრავლესობით, იგი მაშინ იშლება. იწვევენ განსაკუთრებულ დამფუძნებელ კრებას, რომელიც შესდგება დეპუტატთა გაორებულ რიცხვისაგან აი. ამ განსაკუთრებულმა კრებამ უნდა მიიღოს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება და შემდეგ მოიწონოს მეფემ.

თვითმართველობას ფართო უფლებები აქვს მინიჭებული.

საბერძნეთი ვერ ჩაითვლება კულტურულად დიდ დაწინაურებულ ქვეყნად. ბალკანეთის და შემდეგ საერთაშორისო ომის შედეგებით ძალიან სარგებლობს. შეუერთეს მრავალი ტერიტორია და ხალხი. ფართო პრეტენზიებს აცხადებს ოსმალეთის მიმართ. ელანდება დიდი საბერძნეთი, დიდი ელადა. უნდა სტამბოლს დაეპატრონოს.

ნ. საქარელი.

საქონელთა, რომელთა შემოტანაც უნდა აიკრძალოს.(დ.ს.)

◆ **სახელმწიფო ბანკის ოპერაციები.** დამფ. კრებაში შეიტანეს პროექტი სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის გადიდების შესახებ. ძირითად თანხის გადიდების საჭიროებას ქართული ბონების კურსის დაცემითა და საქონლის გაძვირებით ხსნიან. გასესხებული თანხებიც ასეთივე პროპორციით უნდა გადიდდეს. სახელმწიფოში ვითარდება ეკონომიური ცხოვრება და ბანკი იძულებულია ამა თუ იმ სამრეწველოს სესხად მისცეს დიდი თანხა. თავის განკარგულებაში უნდა ექნეს რაც შეიძლება მეტი ფული. მართალია, საგრძნობი თანხა შემოაქვთ ბანკის მიმდინარე ანგარიშზე, მაგრამ ამ თანხის სხვა ოპერაციებისათვის მოხმარება შეუძლებელია. ანგარიში უნდა გაეწიოს ბანკში ფულის შემომტანელთა ფსიქოლოგიას, ეს ხალხი მცირე მიზეზის გამო თხოულობს თავისი თანხის უკანვე გატანას. ამიტომ ბანკი მზათ უნდა იყვეს მომთხოვნელთ ყოველ წუთს მისცეს შემოტანილი თანხა. ასეთი გარემოება ბანკის საერთო მდგომარეობას განამტკიცებს. იღებს რა სახელმწიფო ბანკის გამგეობა ყველა ამ მოსაზრებას მხედველობაში, სთხოვს დამფ. კრების პრეზიდიუმს, რომ მან ეს პროექტი დამფ. კრების პლენუმში განსახილველად შეიტანოს. (დ. ს.)

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** აგვისტოს 18 ფინანსთა მინისტრის მოადგილის ამსრულებლის ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგება ფინანსთა სამინისტროს საბჭოს სხდომა. სხდომაზე გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) დამატებითი სამრეწველო გადასახადისაგან განთავისუფლება ზოგიერთი დაწესებულებებისა, 2) კავკასია-ევროპის ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და ამ ბანკის ძირითადი თანხის გადიდება, 3) ვაჭართა ბანკის ძირითადი თანხის გადიდება. 4) პაიებზე დამყარებულ კავკასია - თურქესტანის ამხანაგობის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და ძირითად თანხის გადიდება და 5) ენფიაჯიანცის თუთუნის ფაბრიკის ძირითადი თანხის გადიდება (დ. ს.)

◆ **პური თფილისისათვის.** ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შეიმუშავა დებულება პურზე კონტროლის დაწესების შესახებ. დებულების განმარტებით ბარათში აღნიშნულია: ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია პურის ფასების გადიდება, რაც მძიმედ მოქმედებს შეუძლებელ მცხოვრებთა ბიუჯეტზე. ამ გარემოებამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება სასურსათო განყოფილებისა. პურის კრიზისთან საბრძოლველად სასურსათო განყოფილებასთან დაარსდა პურის ბიურო. ეს ბიურო უკვე შეუდგა თფილისისათვის საჭირო პურის შემოსატანად პრაქტიკულ ზომების მიღებას. ბიურომ ანგარიში გაუწია იმასაც, რომ სხვა და სხვა სპეკულიანტები და შუამავლებიც იძენენ ხორბლეულობას და გადასწყვიტა ენერგიული ღონისძიებანი მიიღოს ამ ბოროტების მოსასპობად. ამ მიზნისათვის ბიურომ გახსნა იმ ადგილებში, სადაც პურს ყიდულობენ და ყიდიან, პურის კანტორები. მათი მიზანია ებრძოლოს პურის ფასების აწევას, სპეკულიაციას და სხვა და სხვა შუამავლებს. შემოტანილ ხორბალს იწერს კანტორა, ურომლისოდაც ხორბლის გაყიდვა არ შეიძლება. კანტორის გარეშე გაყიდული ხორბლეულობა ჩამოერთმევა პატრონს სასურსათო განყოფილების სასარგებლოდ განსაზღვრულ ფასებში. კანტორა რეგისტრაციისათვის არავითარ გადასახადს არ ადებს გასაყიდ ხორბალს. ქალაქის გამგეობამ ეს დებულება დაამტკიცა. გადასწყდა, გარდა უკვე არსებულ კანტორებისა, გაიხსნას კიდევ ახალი კანტორები შემდეგ ადგილებში: მაიდანზე და დესიმონოვის მოედანზე. კანტორა გაიხსნება აგრეთვე დეზერტირის ბაზარსა და რკ-ნის გზების საქონლის სადგურზე. (დ. ს.).

◆ **რკინის გზებზე.** რკინის გზის სამმართველომ განკარგულება გასცა, რომ ყოველ მხრივ დაეხმარონ შტატის შემოკლების გამო შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს, რომლებიც რუსეთში აპირობენ წასვლას. ეუწყა აგრეთვე რკინის გზების სამმართველოს ისიც, რომ მობილიზაციით გაწვეული 1888 და 89 წ. წ. დაბადებულნი მოსამსახურენი და ახლა ორი თვით განთავისუფლებულნი შეიძლება დაშვებულ იქმნან განსაკუთრებულ ჯილდოს მიცემით თავის თანამდებობაზე. (დ. ს.)

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა შემოსავალი.** ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში გამოიანგარიშეს ივნისის შემოსავალი. შემოსულა საფოსტო წერილებისა და სხვა გადასაგზავნისაგან 2,890,534 მან. დეპეშებისაგან 3.800,113 მან., ტელეფონებიდან 1,081,263 მან. სულ შემოსულა 7.161.910 მან. მაისთან შედარებით შემოსავალი გაზრდილა 1,800,000 მანეთით, წარსული წლის ივნისთან შედარებით კი 6,000,000 მან. (დ. ს.)

◆ **სურსათ-სანოვაგის მიწოდების შედეგები.** მუშათა მაგიდიდან მიღებული ცნობით მუშებს შორის პურს შემდეგი ნორმით აწესრიგებდნენ: ივნისში ეძლეოდა 62,498 ულუფა 1562 ფუთი, აგვისტოში 65,844 ულუფა. მუშათა მაგიდიდან პურის მიმღებნი 99 ჯგუფად არიან დაყოფილი. მუშათა მაგიდის კონტროლიორები სინჯავენ და ხშირათ თვით ესწრებიან დაწესებულებათა შორის პურის გაყოფას. ამ უკანასკნელ დროში კონტროლიორების მუშაობის გამო ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი მეტად შემცირდა. (დს).

◆ **ბრძოლა ეპიდემიასთან.** ერობათა კავშირმა სთხოვა გორის სამაზრო ერობას მიიღოს მან სწრაფი ზომები ეპიდემიის საწინააღმდეგო ჩირქის დასარიგებლად და ბორჯომისა და ბაკურიანის რაიონებში ექიმების გასაგზავნად.

◆ **საქონლის შესყიდვა.** ერობათა კავშირის კომიტეტმა ევროპაში მყოფ ფინანსთა მინისტრს კ. კანდელაკს თხოვნით მიმართა შეისყიდოს მან ერობისათვის სხვადასხვა საქონელი, სახელდობრ: საპონის ქარხნისათვის საჭირო საქონელი, სასოფლო სამეურნეო იარაღი, მანუფაქტურა და სხვ. ეს საქონელი შესყიდული იქნება საზღვარ-გარეთ თამბაქოს გაყიდვისაგან აღებულ ვალიუტით. (დ. ს.).

◆ **ერობათა კავშირის** გამგეობა ღებულობს ზომებს იტალიის ფირმებისაგან მიწის მუშების საჭიროებისათვის მანუფაქტურის შესასყიდათ. (დ. ს).

◆ **სურსათ - სანოვაგის მიწოდება** მუშათა მაგიდამ აცნობა მომარაგების სამინისტროს, რომ ამ ჟამად მუშათა მაგიდაში 65.000 მომხმარებელი ირიცხება. ამის და მიხედვით ქალაქის სასურსათო განყოფილებამ ყოველ დღიურად უნდა დაარიგოს არა ნაკლებ 1200—1250 ფუთი პურისა.

◆ **შეშა მუშებისათვის.** მუშათა მაგიდამ დასავლეთ საქართველოში თავისი წარმომადგენლები დაგზავნა მუშების და მოსამსახურეების საჭიროებისათვის შეშის შესასყიდათ.

◆ **ს. ხარათში** (ქუთ. მაზრა) სროლის დროს მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი სირბილაძე, რომელიც მთელს ოკრიბის რაიონს შიშის ზარს სცემდა.

◆ **ტ. ა. ბეკზადიანმა ინახულა** წარსულ კვირას საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი. მათ საუბარი ჰქონდათ საქართველოსა და სომხეთის საერთო მდგომარეობისა და ამ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრულ დამოკიდებულების დამყარების შესახებ.

◆ **ნიტრალური ზონა.** სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნეიტრალურ ზონის საკითხის მოგვარების შესახებ ერთმანეთს ნოტები გაუგზავნეს.

◆ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და გასასყიდათ გამოვა დ. თურდოსპირელის მოთხრობა „ამირანის ცეცხლი“.

◆ **გაზეთების შეწყვეტა** რადგან ფული არ გამოგვიგზავნეს დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები ჩოხატაურში, ზუგდიდში, თელავში და ნიგოითში. კანტორა „განათლება.“

კრებები.

19 აგვისტოს საღ. 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. (კახეთის ქ. № 1)

— დღეს, 18 აგვისტოს საღამოს სრულ ექვს საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. ფრაქციის მიერ შემუშავებულ რეგლამენტის ძალით თუ ქვორუმი 6 ს. 15 წ. არ გამოცხადდა, კრება არ შესდგება.

რუსეთის სოციალ დემოკრატია და საბჭოთა მთავრობა

(რეზოლიუცია მიღებული რუსეთის ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე 18 ივლისისს 1920 წ.)

1) ბოლშევიკურ მთავრობის მიმართ რ. ს.-დ. მ. პ. წარმოადგენს ოპოზიციონურ პარტიას. ეს ოპოზიციონერობა განისაზღვრება ამ მთავრობის პოლიტიკის ძირითადი თვისებებით: **იმას ახასიათებს უმცირესობის დიქტატურა ხალხის დიდ უმრავლესობაზე, მართვა-გამგეობის მეთოდების ბიუროკრატიული ხასიათი**, რაც ახრჩობს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმის საზიანოთ პოლიტიკურ თავისუფლებას და ეკონომიურ თვითმოქმედებას მშრომელ მასებისა და მათ შორის პროლეტარიატისაც.

სიმრავლე უტოპიურ ტენდენციებისა ეკონომიურ პოლიტიკაში, რაც აფერხებს მუშაობას განადგურებულ საწარმოვო ძალთა აღსადგენათ მიმართულს, ხელოვნურად ამწვავებს რევოლიუციის საზიანოდ, ურთიერთობას ქალაქის პროლეტარიატსა და გლეხობის შორის.

2. ოპოზიციონერობა რ. ს. დ. მ. პარტიისა ბოლშევიკურ მთავრობის მიმართ დაფუძნებულია **პრინციპიალურად სხვა ბაზისზედ**, ვიდრე ოპოზიციონერობა რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიისა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ წყობილების მიმართ, და მათ შორის იმნაირ მთავრობის მიმართაც, რომელშიაც შედიან სოციალისტები.

იმ დროს, როდესაც ოპოზიცია ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არის გამოხატულება ბრძოლისა ორ მტრულ კლასისა—ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ პროლეტარიატის ნაწილი მხარს უჭერს ამ (კოალიციურ) ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას;—ეხლანდელი ბრძოლა რევ. სოციალ-დემოკრატიისა კომუნისტების მთავრობასთან არ გამოხატავს არავითარ კლასობრივ ბრძოლას და არც მისწრაფვის გამოხატოს იგი. პირიქით, ეს ბრძოლა არის,—ბრძოლა ერთსა და იმავე კლასზე,—პროლეტარიატზე, გავლენის მოსაპოვებლათ, ბრძოლა მის პოლიტიკაში პროლეტარიატის ისტორიულ მიზნის—სოციალიზმის განსახორციელებელ სხვადასხვა მოწინააღმდეგე მეთოდების გაბატონებისათვის.

3. ამ ძირითად განსხვავებიდან გამომდინარეობს, რომ ტაქტიკა რ. ს. დ. მ. პარტიისა კომუნისტურ პარტიის მიმართ უნდა განირჩეოდეს იმ ტაქტიკისაგან, რომელსაც ის ატარებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებასთან ბრძოლის პერიოდში,—და ეს იმდენათ, რამდენათაც ეს ტაქტიკა პრინციპიალურად მიმართულია არსებული რეჟიმის ევოლიუციონურათ გარდაქმნისაკენ, და არა იმის რევოლიუციონურ დამარცხებისაკენ. აქედანვე გამომდინარეობს, რომ ჩვენთვის შეუძლებელია შევუერთდეთ ბოლშევიკებთან ბრძოლაში იმ პარტიებს, რომლებიც თავის ბრძოლაში სახავენ პირდაპირ, თუ არა პირდაპირ, არაპროლეტარულ კლასების კლასობრივ ბრძოლას პროლეტარიატის წინააღმდეგ.

4. ამავე დროს არ ეთანხმება რა ძირითადათ გაბატონებულ კომუნისტების პარტიას პოლიტიკურ ფორმების, სოციალიზმის განხორციელების და სოციალისტურ აღმშენებლობის მეთოდების საკითხებში, რ. ს. დ. მ. პ. მიუხედავათ ამისა მაინც სდგას ამ პარტიასთან საერთო ნიადაგზე—და ეს ნიადაგი არის ბრძოლა გაბატონებულ კლასების პოლიტიკურ ძალა-უფლების აღდგენის წინააღმდეგ და აგრეთვე მშრომელ კლასების მსოფლიო იმპერიალიზმის მიერ პოლიტიკურ დამონების წინააღმდეგ.

5. აქედან რ. ს. დ. მ. პარტიისთვის გამომდინარეობს დაქვემდებარება მისი ოპოზიციონური მოქმედებისა, რომელიც წარმოადგენს ბრძოლას მუშათა კლასზე ხელმძღვანელ გავლენის მოსაპოვებლათ, მომენტის ძირითად საკითხისთვის,ეს არის რევოლიუციის დაცვა საფრთხისაგან—გარეშე და შინაურ კონტრ-რევოლიუციისაგან. მაშასადამე, სანამ ეს საფრთხე რეალურათ რჩება, თავისი ოპოზიციონურ მოქმედებას რ. ს. დ. მ. პ. შეგნებულათ ისეთ ფარგლებში ათავსებს, რომლებიც შეიძლება შეუთანხმდეს საბჭოთა მთავრობისათვის მხარის დაჭერას, მაზედ იერიშით მოსულ კონტრ-რევოლიუციისაგან რევოლიუციის დაცვის საქმეში.

6. მაგრამ ამ ფარგლებში პარტია ინარჩუნებს თავის ოპოზიციონურ ხაზს, ე. ი. ყოველგან, სადაც კი საკითხი დადგება მუშათა კლასზე პოლიტიკური გავლენის შესახებ, მასების პოლიტიკური საზოგადოებრივ თვითმოქმედების გამოჩენის ყველა სფეროში, ის მკაფიოდ გამოსთქვამს თავის პროგრამულ მოთხოვნილებებს, აკრიტიკებს პრინციპიალურათ გაბატონებულ პარტიის პოლიტიკას და პროტესტს აცხადებს მთავრობის ყველა იმ აქტების წინააღმდეგ, რომლებითაც ძლიერდება პარტიული დიქტატურა, მაგრამ, სამაგიეროთ, სუსტდება რეალური ბატონობა და თავისუფლება მშრომელებისა.

7. რ. ს. დ. მ. პარტიის ოპოზიციის ხასიათი არ გამოხატავს კლასობრივ ანტაგონიზმს იმ ძალების, რომელთა ინტერესებს ის იცავს, და იმ ძალებს შორის, რომლებზედაც ეყრდნობა საბჭოთა მთავრობა. ამრიგათ, ეს სრულიად არ უშლის ხელს რ. ს. დ. მ. პ. მიიღოს მონაწილეობა ბოლშევიკურ სახელმწიფოებრივ ძალა უფლების დადებით მუშაობაში და ამ გვარ მონაწილეობას პრინციპიალურათ სავალდებულოთ ხდის იმ ფარგლებში, რომლებშიაც ის შეიძლება შეუთანხმდეს რევოლიუციის ინტერესების დაცვას ისე, როგორც ეს სოც.-დემოკრატიას ესმის. ამიტომ დაუშვებელია, არა მარტო დაკავება იმგვარი თანამდებობის, რომლებიც დააკისრებდნენ პარტიას პასუხისმგებლობას ძალა-უფლების მთელი პოლიტიკისათვის, არამედ—იმნაირ პასუხისმგებელ ადგილების დაჭერაც, როდესაც ის გარემოცულია ისეთი პირობებით, რომლებიც შეუძლებლათა ხდიან პარტიულ მოვალეობის ასრულებას, ან როდესაც თვით ადგილის ხასიათი (მაგ. სამსახური ჩრეზვიჩაიკაში, რევოლიუციონურ ტრიბუნალში, პოლიტიკურ კომისარიატში და სხ.) იმნაირ მოვალეობას აკისრებს პარტიის წევრს, რომელიც პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება პარტიის ძირითად შეხედულებებს სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე, სახელმწიფოს ურთიერთობაზე მშრომელ მასებთან, პოლიტიკურ თავისუფლებაზე და სხ.

8. ავიწროებს რა თავის ოპოზიციონურ მოქმედების ფარგლებს მანამდის, სანამ რესპუბლიკა იცავს თავის არსებობას გარეშე და შინაურ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და ამას ის აკეთებს მით უფრო, რაც უფრო მწვავეა საფრთხე, და მანამ არსებობს სოლიდარობა საერთოდ რ. ს. დ. მ. პარტიისა ახლანდელ მთავრობის გარეშე. პოლიტიკაში, პარტია ამით აცხადებს, რომ რა წამს ეს საფრთხე მოისპობა და საბჭოთა რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იქნება შინაგან და გარეშე კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან, პარტია დაიბრუნებს სრულ თავისუფლებას თავის ბრძოლაში მუშათა კლასზე გავლენისათვის და რეჟიმის შესაცვლელად იმ ფარგლებში, რომლებიც განისაზღვრება უტოპიურ და დიქტატორულ კომუნიზმის მიმართ სოციალ-დემოკრატიის ზემოთ გამორკვეული ოპოზიციის ხასიათით.

დამფუძნებელი კრების კომისიებში

16 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართლის მოხსენებით მიღებულ იქნა წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტის საბოლოო ტექსტი.

ივ. გომართლის, ივ. ლორთქიფანის და გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო უწყების, საავათმყოფოების, ქალაქისა და ერობის თვითმართველობისათვის გადაცემისა.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ ნეიტრალი ზონის მილიციის შტატის და ხარჯთაღრიცხვის შეცვლისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის სტამბის შესაკეთებლათ 392,747 მან. გადადებისა.

ი. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთა პენსიის რაოდენობის შეცვლისა სამუშაო ხელფასის ცვლილების მიხედვით.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სოციალური დახმარების დროებითი წესის 1—ლი, მე-4 ე და 6-ე მუხლის შეცვლისა.

გრ. ვეშაპელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ახალციხის წყალსადენის აღსადგენათ 910 ათასი მან. გადადებისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920—21 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადადებისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო ბანკისთვის 50 მილიონ მან. სესხის მიცემისა—დამზღვევი ფონდის დასაარსებლათ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა. მომატება იწყება 100% და თავდება 50%. ყველა მუშა-მოსამსახურენი დაყოფილნი არიან 6 კატეგორიათ. პირველ კატეგორიაში შედიან ისინი, ვინც 1 აგვისტომდე ამა წლისა იღებდნენ 2500 მან., მათ ემატებათ 100% უკანასკნელ კატეგორიაში შედიან ვინც იღებდენ 4000 მან. მეტს. მათ ემატებათ თვეში 50%.

გ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რესპუბლიკის რკინის გზის ტარიფის მომატებისა.

მ. რუსიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. გორის გასაშენებლათ თავისუფალი კერძო მიწის ჩამორთმევისა.

ივ. გომართლის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სასახლის შესაკეთებლათ 9 მილიონი მან გადიდებისა.

გ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში 20 მილიონი მან. გადადებისა ნავთისა და ნავთის პროდუქტების შესაძენათ.

გ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—დასავლეთ ევროპაში გასაგზავნ მუშათა დელეგაციისათვის 8 მილ. მან. გადადებისა.

შემდეგ არჩეულ იქნა საპენსიო წესდების კომისია. კომისიაში შედიან: ზ. გურული, ე. მახვილაძე, ი. ფირცხალაიშვილი, ო. სოლოღაშვილი, გრ. ვეშაპელი, ტერ-სტეპანიანცი, ი. ბარათაშვილი, ივ. გობეჩია და ალ. ასათიანი.

სატენიკო კომისიაში არჩეულ იქნენ: გრ. გიორგაძე, პ. საყვარელიძე, კოვალიოვი, მ. რუსია, ზ. ქარუმიძე, ტერ-სტეპანიანცი, თ. ღლონტი, ივ. ლორთქიფანიძე და სპ. კედია.

ამის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საბოლოო ტექსტი ყველა ზემოთ მიღებულ დეკრეტებისა და გამოიტანა დადგენილება: დროებით შეწყდეს დამფუძნებელი კრების მუშაობა. შემდეგი პირველი სხდომა მოწვეულ იქნეს პარასკევს, 15 ოქტომბერს, პრეზიდიუმს მიეცეს უფლება განსაკუთრებულ პირობებში, თუ საჭიროდ დაინახავს, მოიწვიოს დამფუძნებელი კრების არაჩვეულებრივი სხდომა 15 ოქტომბრამდე.

ერობა და ქალაქი

გურიის ერობაში.

გამგეობა უკვე შეუდგა აგრეთვე მდ. სუფსაზე (ნაგომარს ზევით) ხიდის აგებას ხის მასალისაგან.

— გამგეობამ შეიძინა სტამბა, რომელიც ამ დღეებში გადმოიტანება და მოეწყობა ოზურგეთში. სტამბის გამგეთ მოწვეულია თ. ბოლქვაძე

— სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების საქმეზე აქტიურად მომუშავეს, ალფ. ხომერიკის, რომელიც ამ მუშაობის დროს და მის გამო ნივთიერადაც დაზარალდა, ერობამ აღმოუჩინა დახმარება 15.000 მან.

— გამგეობამ გადასწყვიტა შეშის დამზადება, როგორც თავის, ისე სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის, რაც დაევალა სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებას.

— საექიმო-სასანიტარო განყ. გამგე ექ. ს. აბაშიძე დათხოვნილი იქნა სამსახურიდან.

— გაზ. „გურიის ერობის მოამბის“ გამოცემა გამგეობამ დროებით შეაჩერა. გაზეთი გამოვა ერობის მიერ თავისი სტამბის მოწყობის შემდეგ, განახლებული რედაქციით და შინაარსით.

— ერობის გამგეობა დიდი ხანია შეუდგა მეომართა ოჯახებისთვის ფულით დახმარების აღმოჩენას, თანახმად 22 ივნისის კანონისა. ამ ოჯახების ნატურით დახმარების საქმეც კარგადაა მოწყობილი თემების მიერ.

— ერობამ სამსახურში მოიწვია და ოზურგეთის ცენტრალურ საერობო საავათმყოფოს გამგეთ დანიშნა ექ. ავთ. ინგოროყვა.

— ამავე საავათმყოფოში ხირურგიული განყოფილების ორდინატორათ დანიშნული იქნა ექ. ი. უჯმაჯურიძე. ამ ჟამად ამ საავათმყოფოში მუშაობს 2 ხირურგი (მათ შორის ერთი პროფესორი), ერთი გინეკოლოგი, სამი ტერაპევტი და ერთი ექიმი—ბაქტერიოლოგი. საავათმყოფოში კეთდება მეტად მძიმე აპერაციები.

— გამგეობამ ამ დღეებში დააკმაყოფილა ნიგვზიანის თემის მცხოვრებთა ფ. თევზაძის, გრ. გურგენიძისა და სხვების, რიცხვით 23-ის, შუამდგომლობა მათი ნიგვზიანის თემის მცხოვრებთა სიიდან ამორიცხვისა და სუფსის თემზე მიწერის შესახებ.

— ერობაში მრავალი თხოვნები შემოდის სოციალური დახმარების აღმოჩენის შესახებ, თანახმად 21 მაისის კანონისა. გამგეობა თემების საშუალებით სისწორით იკვლევს მთხოვნელთა ოჯახურ-ნივთიერ მდგომარეობას და საჭირო ცნობების შეკრების შემდეგ სწყვეტს საკითხს დახმარების აღმოჩენის შესახებ. შრომის სამინისტროს უკვე ეგზავნება გამგეობის მიერ თანდათანობით ერობის დადებითი დასკვნით ისეთი თხოვნები, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

— ოზურგეთის ინტერპარტიულ კლუბს გამგეობამ აღმოუჩინა დახმარება 15,000 მ.

— გამგეობამ 1 აგვისტოდან ა. წ. გაადიდა სამაზრო საერობო ყრილობის მიერ დამტკიცებული ნიხრი მაზრაში ეტლითა და ავტომობილებით მიმოსვლაზე დაახლოვებით 60—70 პროც. ნიხრი გადიდდა აგრეთვე ნატანებ-ოზურგეთს შუა ურმით ტვირთით გადმოზიდვაზედაც.

უცხოეთი

ისპანია.

სოციალისტების რეზოლიუცია ინტერნაციონალზე. ისპანიის სოციალისტების ყრილობამ ინტერნაციონალის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

1) ისპანიის სოციალისტური პარტია მოითხოვს ავტონომიურობას ყველაფერში, რაც ტაქტიკას შეეხება. პარტიას მიაჩნია, რომ ტაქტიკა შეფარდებულ უნდა იყოს დროის და ადგილის გარემოებასთან და ამა თუ იმ ხალხის ფსიქოლოგიურ თავისებურებასთან, 2) პარტია მოითხოვს, რომ მას უფლება აქვს თავის კონგრესებზე გადასინჯოს მესამე ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპები და ის დადგენილებები, რომლითაც ეს ინტერნაციონალი მიიღებს მომავალში.

3) პარტია ეცდება, რომ მესამე ინტერნაციონალმა გააერთიანოს ერთი და იგივე იდეალის მატარებელი ყველა სოციალისტური ძალები. პარტიას სურს თავიდან იქნეს აცილებული ინტერნაციონალიდან რომელიმე წევრის დაუსაბუთებლათ გაძევება. ასევე პარტიას სურს მოცილებულ იქნას ყოველივე დოგმატიზმი. ამ აზრით პარტია გამსჭვალულია იმავე სულით, როგორითაც გამსჭვალულნი არიან საფრანგეთის სოციალისტური პარტია და გერმანიის დამოუკიდებელნი. ამის საწინააღმდეგოთ ყრილობაზე თავი იჩინა იმ აზრის მიმდინარეობამ, რომ ისპანიის სოციალ. პარტია ყოველ პირობის გარეშე შეერთებოდა მესამე ინტერნაციონალს, მაგრამ ასეთი რეზოლიუცია დიდი ხმის უმეტესობით უარყოფილ იქნა.

მიღებულ რეზოლიუციის შესახებ „ჰიუმანიტე“ სწერს: „არსებითად ისპანიის სოციალისტურ პარტიის პოზიცია იგივეა, რაც „ალორძინების“ მომხრე პარტიების (ე. ი. საფრანგეთის სოციალისტები და გერმანიის დამოუკიდებელნი). მაგრამ ისპანიის სოციალისტური პარტია განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩააყენა იმან, რომ ყრილობის მიერ რეზოლიუციის ავტორებმა იქიდან ამოშალეს ასეთი მუხლი: პარტია გზავნის თავის წარმომადგენლებს ყველა სოციალისტურ კონგრესებზე, რომელნიც მიზნათ ისახავენ სოციალისტურ ძალების გაერთიანებას“. ამ მუხლის ამოშლის გამო ისპანიის სოციალისტურმა პარტიამ კავშირი არ უნდა დაიჭიროს „აღორძინების“ მომხრე პარტიებთან მანამდე, სანამ მოსკოვში გაგზავნილი დელეგატები არ დაამთავრებენ მოლაპარაკებას მე III ინტერნაციონალის სრულ უფლებიან წარმომადგენლებთან“.

შვეიცარია

დეზორგანიზატორების გაკიცხვა.

შვეიცარიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის გამგეობამ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „სეკრეტარიატმა თავის დროზე აუწყა პარტიის წევრებს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა დელეგაცია გაგზავნოს მე III ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე საინფორმაციო მიზნით. გამგეობამ პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლების სურვილი დააკმაყოფილა და ხსენებულ დელეგაციაში ერთი წარმომადგენელი მარცხენა ფრთიდან შეიყვანა. გამგეობა შეიკრიბა ამ საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებათ და ამ დროს შეიტყო, რომ ოლტენში შესდგა მე III ინტერნაციონალის მომხრეთა ცალკე კონფერენცია, რომელმაც დაადგინა დამოუკიდებლათ გაგზავნოს დელეგაცია მოსკოვის კონგრესზე. ამის გარდა მოსკოვში მიემართება შვეიცარიის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი. ამის გამო კომიტეტი შესაძლებლათ ვეღარა სცნობს პარტიის წევრს დააკისროს ასეთი დავალება რუსეთში, რადგან ეს უკვე ზედმეტი იქნებოდა, თუ უფრო მეტი—სასაცილო არა. კომიტეტს კვლავინდებურათ მიაჩნია, რომ პარტიის წარმომადგენლობა მის გარეშე, თვით პარტიულ ორგანიზაციის უფლებას შეადგენს.

გამგეობა აცხადებს პარტიის სახელით: წარმომადგენლობის უფლება არც ერთ ჯგუფს არ ეკუთვნის და კატეგორიულათ აცხადებს, რომ ოლტენში არჩეული დელეგატები ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებიან შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებათ. ის ამხანაგები, რომელთაც ოლტენის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს, ეცადნენ გვერდი აეხვიათ კომიტეტისათვის მე-III ინტერნაციონალის და იქ წარმომადგენლების გაგზავნის საკითხებში. და ეს ხდება სწორედ მაშინ, როდესაც კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა ყრილობაზე შეეტანა მე-III ინტერნაციონალში შესვლის წინადადება. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის, ვინც ოლტენის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციას მოაწერა ხელი, არიან ისეთნი, რომელთაც საჯაროთ განაცხადეს, რომ პარტიიდან გადიან. პარტიის კომიტეტი სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი მოქმედების გამო, რომელიც საფრთხეს უქადის პარტიის მთლიანობას და სახელს უტეხავს მას გამგეობამ ეს საკითხი გადასაცა განსახილველათ ცენტრალურ კომიტეტს და საგანგებოთ მოწვეულ პარტიულ ყრილობას“.

კულტურული მუშაობა ჯარში

კინემატოგრაფი ბათომ-აჭარაში.

4 აგვისტოს სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის წევრები ტ. ართმელაძე და ალ. ქორქელიანი, კოოპერატივთა კავშირის კინემატოგრაფიულ განყოფილების გამგე გ. გოგიტიძე და მხატვარი კ. ქავთარაძე გაემგზავრენ ბათომ-აჭარაში მყოფ სამხედრო ნაწილებისათვის კინემატოგრაფით სურათების საჩვენებლად და საუბრების გასამართავათ.

მათთან ერთად ბათომში ჩავიდა ფრონტის დღის დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ქორქელიანი საჩუქრებით ბათომის გვარდიელთათვის და ჯარისათვის. ბათომის გვარდიელებმა დაადგინეს საჩუქრები გადასცენ რეგულიარულ ჯარს.

5 აგვისტოს მოწყობილ იქნა ბათომის გარნიზონისათვის სურათების ჩვენება. უჩვენეს ბათომის საქართველოსთან შემოერთების ზეიმი და აზერბეიჯანის ფრონტი. სურათებმა ჯარისკაცებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სურათების ჩვენების დაწყებამდე გაიმართა ჯარისკაცთა შეჯიბრება ჭიდაობაში და გაქცევაში. გამარჯვებულსა აძლევდენ პრიზს (საჩუქარს).

6 აგვისტოს დილით გაემგზავრენ აჭარის წყალზე. საღამოს, აქაც ნაჩვენები იქნა იგივე სურათები. სურათები ნახეს აგრეთვე აჭარლებმაც. შესაფერის ახსნა-განმარტებას აძლევდა გ. გოგიტიძე. დილით, 7 აგვისტოს, ადრიანათ მივეშურებით ქედას მიმართულებით. შუადღე გადასული იყო რომ ქედაში მივედით და ჯარისკაცებს ჩვენი მისვლა ძლიერ გეხარდათ. ესაუბრენ ჯარს ტ. ართმელაძე და ალ. ქორქელიანი. ათ საათზე სურათების ჩვენება თავდება და ჯარი გახარებული ვაშას ძახილით და სიმღერით ბრუნდება ყაზარმებში. იმ ღამეს დავრჩით წითელ ჯვრის საავადმყოფოში. აქ ექიმად არის ბ. იაშვილი. საავადმყო უფასოდ ღებულობს აჭარლებს. ერთი თვის განმავლობაში მიუღიათ დაახლოვებით 700 ავადმყოფი. მათ შორის ქალებიც ყოფილან. ინგლისელების დროს უფრო ნაკლებად დადიოდენ ავადმყოფები.

8 აგვისტოს გავემგზავრეთ ხულოს მიმართულებით და საღამოს უკვე ხულოში ვიყავით. აქ ბლომად დაგვწრენ აჭარლები, რომლებიც ამბობდენ: ეს რა ვნახეთ, თითოეულ ჩვენგანს ამის ნახვა 5,000 მანეთი გვეღირებო.

მე-2 დღეს ტ. ართმელაძემ ჯარს საუბარი გაუმართა. ათ საათზე გამოვეშურენით ბათომისაკენ.

სექცია 10 აგვისტოს თფილისს დაბრუნდა. №.

სატარიფო პალატის ცირკულიარი

ყველა მუშათა და მწარმოებელთა ორგანიზაციებს, ქალაქის და ერობათა თვითმართველობებს, კომისრებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს.

სატარიფო პალატამ თავის ა. წ. 13 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა:

1) გადიდდეს პირველ აგვისტოდან 1920 წლ. სამუშაო ხელფასი, იანვრის სატარიფო პერიოდში დაწესებული, შემდეგ ნაირათ.

ვინც იღებდა 2500 მანეთამდე 100%-თ
2501-იდან—3000 მან.—90%
3001-მ-დან—4000 მან.—80%
3501 მ-დან—4000 მან —70%
4001 მ-დან—4500 მან.—60%
4501 მ-დან. და მეტი.—50%

2) მომატება ისე გატარდეს, რომ ტარიფით დაწესებული ხელფასი წინა კატეგორიისა არ იყოს მიმდევარ კატეგორიის ხელფასზე დაბალი და რომ შენარჩუნებულ იქნეს წინანდელი შეფარდება კატეგორიებს შორის.

3) სწორი ტარიფების დაწესება ამ დადგენილების თანახმად მიენდოს პალატის პრეზიდიუმს.

აცნობებს რა ამის შესახებ სატარიფო პალატის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა დამქირავებლებს დაუყონებლივ მისცენ მუშებს დაწესებულ მომატების ანგარიშში შესაფერისი თანხები, და ნუ დაუცდიან ტარიფების დაწესებას.

თავმჯდომარე გოლდმანი
მდივანი ტრეიმანი.

მთებში და უღელტეხილებში.*)

(მგზავრის დღიურები)

12 ივლისი.

საღამოს გამოვეთხოვე კეხოვანის მთას, ჩუხუს ნარიმ-ბაშის სევდიან, დამაფიქრებელ მწვერვალებს და ლამაზ ხეობას. სამარი განწყობილება შეიცვალა. ზემო აჭარის ხალხმა გაიგო ბათომის ამბები, მიძალადე ავანტიურისტთა განზრახვები. და მათ თავიანთი დელეგაციის საშუალებით აუწყეს გოდერძის სარდლობას, რომ საქართველოს ჯარი ზემოთ შემოვიდეს ზემო აჭარაში. ისინი თავიანთ სოფლებში გაეშურენ... ხვალ საქართველოს ჯარები უნდა წავიდნენ უღელტეხილიდან პირდაპირი გზით ზემო აჭარაში.

13 ივლისი.

9 საათზე უთხის უბანი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. მიუხედავათ იმისა, რომ რამოდენიმე თვე ჯარისკაცები და გვარდიელები ფრონტიდან ფრონტზე გადადიან, დიდი შრომა და ტანჯვა აიტანეს, მთები და უღრან ბილიკებიდან კლდეები გადაიარეს, მათ არც დაღლა ეტყობა და არც მოწყენილობა. ყველა მხიარულად ემზადება. ისვენებენ, მღერიან და საუბრობენ. დღეც მოწმენდილი იყო. ცა ელვარებდა და მზე მომცინარეთ დაჰყურებდა ჩვენს ლაშქარს, მშვენიერ ბუნების სანახაობას, გოდერძის მიდამოებს.

ვინაც გოდერძის უღელტეხილი არ

---

*) დღიურები „მთებში და უღელტეხილებში“ სრულიად არ გადამიცია რედაქციისათვის. ზოგიერთი „დღიურები“ 1 ივნისიდან 20 ივლისამდე შევინახე სხვა დროისათვის.

ობოლი მგზავრი.

უნახავს, მისთვის ძნელია ლაპარაკით და წერით გაიცნოს ის მძიმე დამაფიქრებელი გატაცება, როდესაც გოდერძის უღელტეხილის ბუნების საიდუმლოებას ათვალიერებს და მის თავაზიანობას ემორჩილება შემთხვევითი მოგზაური.

გოდერძის უღელტეხილი განსხვავდება სხვა უღელტეხილებისაგან. ირგვლივ ის ალყა შემორტყმულია მაღალი მწვერვალებით და ეს მწვერვალები მოდარაჯე გახდომია მთელ სამუსლიმანო საქართველოს.

წვინთა-გალის მწვერვალიდან მგზავრის წინაშე იშლება თვალწარმტაცი სურათი და გინდა არ მოშორდე ბუნების ამ სანარნარო ალერსს. წინ, თვალწინ გადაშლილია მთელი ზემო აჭარა, ლამაზი დანისპარაული, ბორჯომის ხეობა, მსხალთის, ჩავანის თავი გაფანტულ მოსახლეობით, სოფლებით, ტყეებით, მთებით; შორს მოსჩანს ზღვა, ზღვის განაპირა ადგილები. მარჯვნივ მთები, ხეობები გურიის მთებამდის. უკან მესხეთის მხარეები, მარცხნივ შავშეთის მთები.

გოდერძში მუდამ ძლიერ ცივა. ზოგიერთ მაღლობებზე თოვლი მუდმივი სტუმარია. ჰაერი სალია, ტყეები სულ ნაძენარ-ფიჭვნარი.

შუადღის 3 საათზე ჯარების ნაწილი ცენტრ. უღელტეხილში შევიდა. „იაილებამდის" ჯარებს შეეგება 120-დე შეიარაღებული აჭარლები ჯემალ-ბეგის მეთაურობით. ისინი მიესალმენ ჯარს და როგორც პატივის მცემელნი, გამოგვყვენ. შუა უღელტეხილზე შეგვხვდა 160 დე ხულის აჭარლები, უმთავრესად ახალგაზრდები თეთრი პლაკატით, რომელზედაც ეწერა; „სალამი დედა სამშობლო საქართველოს. ტყვეობისაგან განთავისუფლებულ აჭარლებისაგან".

მთებში მწყემსები ნაკლებათ მოსჩანდნენ. საღამოს 3 საათზე დანისპარაულში შევედით. სოფლელები ჯარს ზეიმით შეეგებენ. იქვე დაგვხვდენ ჩვენი ამხანაგები აჭარლები, რომლებიც არეულობის დროს დატყვევებულ-გაქცეულები იყვნენ და ტყეებში იმალებოდნენ.

ამხანაგ აზიზამ მოგვითხრო, რომ საქართველოს მომხრეთა ოჯახები დაძარცულია,—დანგრეულია და სხვა.

საღამო წყნარი. იყო „ბივუაკებში" ჯარისკაცები კი მღეროდნენ „სამშობლოს თავისუფლებას" და სხვა სიმღერებს.

ობოლი მგზავრი.

ბ. ქ. კელენჯერიძის წერილის გამო.

დიდი სიამოვნებით წავიკითხე პირველი ნახევარი ბ. კელენჯერიძის წერილისა, რომელიც მოთავსებულია „ერთობის" 3 აგვისტოს ნომერში ძველი გურული სიმღერა-გალობის აღდგენის და მისი დაცვის შესახებ, მაგრამ მეორე ნახევრის წაკითხვამ შხამი გადაასხა წერილის პირველი ნახევრით გამოწვეულ ჩემ სიამოვნებას.

ბ. კელენჯერიძე, ეტყობა, ვიღაცას დიდ შეცდომაში შეუყვანია. იგი ბრძანებს, რომ მელქისედეკ ნაკაშიძე საუცხოვო მცოდნეა ძველი სიმღერა-გალობისა და ამავე დროს ნიჭიერი ლოტბარიო, მე მოვახსენებ ბ. კელენჯერიძეს, რომ არც ერთია მართალი და არც მეორე: როგორც მგალობელს, მ. ნაკაშიძეს არა ერთი და ორი სერიოზული კონკურენტი ჰყავს გურული საეკლესიო გალობის ცოდნაში. ავიღოთ თუ გინდ მღვდლები ნესტორ კონტრიძე და რაჟდენ ხუნდაძე (ამ უკანასკნელმა დუმბაძის გალობა თუმცა ერთობ გაამარტივა, რაც მას უადვილებს და მოწაფეებზე გალობის გადაცემას, მაგრამ ამ გამარტივებულ საგალობლებში საფუძველი მაინც შენახულია) და სხვები. ანუ რა საჭიროა ცოცხლების დასახელება: განსვენებულ ფილიმონ ქორიძეს, გურული გალობის კორიფეის ან. დუმბაძისაგან აქვს გადაღებული ნოტებზე გურული გალობა ასჯერ მეტი იმისა, რაც მ. ნაკაშიძეს როდისმე სმენია. ნაკაშიძის როგორც მოსიმღერის, სიმღერა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. მთელი გურია რომ შემოიაროთ და მოიკითხოთ გურული სიმღერების მცოდნე, ვერსად მ. ნაკაშიძის სახელს ვერ გაიგონებთ იქ გეტყვიან—გურული სიმღერებით თუ გინდათ დასტკბეთ, მოუსმინეთ ჩავლეშვილს, ჩხატარაიშვილს, სიმონიშვილს, ბაბილოძეებს, მახარაძეებს, ერქომაიშვილებს და სხ. ესენი ძველი, 15 წლის წინანდელი, მომღერლები არიან, ხოლო ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უთუოდ ახლებიც გამოიზრდებოდნენ. ჩვენ ვიცნობთ ბ. მ. ნაკაშიძეს თუ როგორი ლოტბარიც ბრძანდება. სწორეთ იმ მიზნით, რა მიზნითაც ბ. კელენჯერიძეს სურს გამოიყენოს მ. ნაკაშიძე დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის საშუალებით, განსვენებულმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ გაუხსნა მას ოზურგეთში კაბინეტი, გაიღო საჭირო თანხაც მის შესანახათ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დიდის გულის წყრომით მიუკეტა კაბინეტის კარები ბ. ნაკაშიძეს, როგორც ყოვლად უნიჭო ლოტბარს, გალობის არ მცოდნეს და ყოველსავე სმენას მოკლებულს.

ქვევით ბ. კელენჯერიძე განაგრძობს: „მელ. ნაკაშიძე ჩვენ გვხდება ქართულ-რუსულ მწერლობაშიც. ის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა სიმღერა გალობას 90 წლებიდან".

რაც შეეხება მის მასწავლებლობას სასულიერო სემინარიაში, ამის შესახებ კარგს იზამს ბ. კელენჯერიძე, რომ ჰკითხავდეს იმ დროის სემინარიის მოწაფეებს და ისინი ეტყვიან მას, თუ როგორი მგალობლები გამოვიდნენ ისინი სემინარიიდან. არც ერთ მათგანს „აღდგომასა შენსა" და „ჯვარსა შენსა"-ს. მეტი არაფერი შეუძენიათ მ. ნაკაშიძისაგან და ეს ორი საგალობელი კი იმდენათ ადვილი სასწავლია, რომ ყველა ქუჩის ბავშვი მღერის გურიაში. მ. ნაკაშიძის ქება „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების ანგარიშებში" უნდა მივიღოთ არა დადებითად, არამედ უარყოფითად: იმ ანგარიშებში გაქებდენ მაშინ, თუ მასწავლებელი არაფერს გააკეთებდი მშობლიურ საქმეში.

დიდათ შიშობს ბ. კელენჯერიძე, რომ მ. ნაკაშიძემ მიწაში არ ჩაიტანოს ეს განძი (გალობა სიმღერა). „სანამ ცოცხალია ეს დამსახურებული და პატიოსანი მოხუცი, შეიძლება ჩვენი შიში ძველი სიმღერა-გალობის აღდგენის შესახებ გააქარწყლოს მანო"... მ. ნაკაშიძე და პატიოსანი!—მ. ნაკაშიძე და დამსახურებული! დიახ, მ. ნაკაშიძე სწორეთ დიდათ „დამსახურებულია", ხოლო ეს დამსახურება მან გაწია „კრამოლის" აღმოფხვრაში. ის მარჯვენა ხელი იყო კრილოვ-ტოლმაჩევისა, როცა ისინი გურიაში ქვას ქვაზე არ სტოვებდენ და ქუჩაში ხვრეტდენ ჩვენს ამხანაგებს, ის ერთ საუკეთესო ჯაშუშათ ითვლებოდა გურიის ჯაშუშთა შორის და არა ერთი და ორი ჩვენი ამხანაგების ოჯახი ატირებულა მისი „დამსახურებით", და აკი ამისთვის იყო, რომ ამ ყოვლად უმეცარს, წერა-კითხვის უცოდინარ კაცს უბოძეს მისიონერობა.

მე ვაფრთხილებ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას ყური არ ათხოვოს ბ. კელენჯერიძის რჩევას მ. ნაკაშიძის მიწვევის შესახებ, თორემ იგივე მოუვა, რაც მოუვიდა ეპისკოპოს ალექსანდრეს.

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ბ. კელენჯერიძის წერილი ჰპოვებს გამოძახილს ჩემზედ უფრო კომპეტენტურ პირებიც მხრითაც.

ი. საბაშვილი.

ს. დ.-პარტიაში

ქ. სამტრედია. 6 მარიამობისთვეს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. რაიონულ კომიტეტის კრება თავმჯდომარეობს ამხ. ი. კიკაბიძე. გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები კომიტეტის ბიუროდან და აღგილებიდან, 2) საკითხები გამოჩინებულის თემის შესახებ. 3) კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობა. 4) გომის თემის ორგანიზაციის მდგომარეობა. 5) ამხ. მ. ადეიშვილის განცხადებ. 6) პარტიურ ყრილობის გადაწყვეტილების გაცნობა ამა თუ იმ თემში, და სხვადასხვა მიმდინარე კითხვები.

ამხ. ი. კიკაბიძის მოხსენება ბიუროდან კომიტეტი დამაკმაყოფილებლათ სცნობს. გამოჩინებულის თემის შესახებ ამხ. ერემია თევზაძის მოხსენების შემდეგ კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს დასახელებულ თემს და ავალებს ამხ. გიორგი ღუნდუას შეკრიბოს იქ როგორც იქაური კოლექტივი, ისე ადგილობრივი საერობო ხმოსანთა ჩვენი ფრაქციის წევრნი და გამოიკვლიოს ყოველივე.

მესამე კითხვაზე კომიტეტმა დაადგინა გაიმართოს ერთი საღამო კომიტეტის სასარგებლოთ. ამის მოგვარება მიენდო ბიუროს.

გომის თემის ორგანიზაციის მოუწყობლობის გამო კომიტეტი ადგენს, რომ იქ გაიგზავნოს ამხ. გაბრიელ ხუნდაძე, რომელიც ამ კვირაში ჩამოვა აქ.

მოისმინა ამხ. მ. ადეიშვილის განცხადება კოოპერატივთა კავშირის „კონას" შესახებ. კომიტეტმა დაავალა ამხ. მ. ადეიშვილს, რომ მან წერილობითი მოხსენება წარმოუდგინოს კომიტეტს მომავალ სხდომაზე.

ს. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობის რეზოლიუციების სხვადასხვა თემებში გასაცნობათ მოხსენებების გაკეთებას კომიტეტი ავალებს შემდეგ პირებს: გამოჩინებულის თემში—ამხ. გიორგი ღუნდუას, კულაშის თემში—ამხ. ლევან ბუაძეს და სამტრედიაში—ამხ. ივანე კიკაბიძეს და ამხ. არჩილ ახობაძეს.

მიმდინარე კითხვებთა შორის ამხ. ი. კიკაბიძის განცხადების თანახმად, ბიუროს წევრათ გასულ წევრის მაგიერ არჩეულ იქნა სევ. ხვიჩია. კრება დაიხურა სრულ 5 საათზე.

ამავე დღესვე შესდგა სამტრედიის კოლექტივის კრება. თავმჯდომარეობს ამხ. ალ. ასკურავა. გასარჩევ კითხვებთა შორის ერთმა კითხვამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. 8 საათის სამუშაო დროის საკითხმა. საკითხი გაშუქებულ იქნა ამხ. ვასო ახობაძის და ამხ. ალექსი ასკურავას მიერ. კოლექტივმა დაადგინა: მიმართოს სადაც ჯერ არს, რომ აუცილებლათ გატარებულ იქნას ცხოვრებაში 8 საათის სამუშაო დრო. თუმცა იყო წინადადებაც, რომელიც ასწორებდა რეზოლიუციას შემდეგ ნაირათ: სადაც მოუხერხებელია ტეხნიკურათ, იქ მიეცეს ზედმეტი ჯილდო, მაგრამ ეს შესწორება უარყოფილი იქნა.

სევ. ხვიჩია.

მუშათა შორის

თუთუნის ქარხნის მუშების ექსკურსია ქ. ბათომში.

თუთუნის ქარხნის პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით მოეწყო ხსენებულ ქარხნების მუშათა ექსკურსია. შვიდ აგვისტოს საღამოს ექვს საათზე გავემგზავრეთ სადგურისაკენ, სადაც გველოდა წითელი დროშებით და ყვავილებით მორთული ვაგონები. საღამოს 8 საათზე მატარებელი დაიძრა. ჩემ სიხარულს და სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც პირველად მიხდებოდა მგზავრობა დასავლეთ საქართველოსკენ.. არავიცი სხვებზე როგორი გავლენა იქონია, ჩემზე კი ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩემდა უნებურათ წამოვიძახე: ნუ თუ დედამიწაზე კიდევ არის სადმე ისეთი კუთხე, რომელიც მდებარეობით და სიმშვენიერით სჯობდეს მთქი ჩვენს ქვეყანას? და თუ ეს ასეა, მაშასადამე რა უნდა იყოს ჩვენი მოვალეობა იმ დროს, როდესაც შინაური და გარეშე მტრები ჩვენს მხარეს განადგურებას უქადიან? იცით რა?? ერთათ ერთი ის, რომ ჩვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ მის დასაცავათ, და მსხვერპლათ შევეწიროთ მის დაცვას.

გათენდა 8 აგვისტო და ჩვენც მივახწიეთ სადგურ ჩაქვამდის. აქ კი ჩემი აღტაცება ერთი ათათ გაიზარდა. აქ შევხვდით ბათუმელ ამხანაგებს.

მცირე ხნის ამხანაგურ მოსალმების შემდეგ მიგვიწვიეს ჩაის პლანტაციაში, სადაც დაგვანაწილეს ოც ოც კაცათ და დაწვრილებით აგვიხსნეს ამ ძვირფას მცენარის მოვლა-მოშენების წესი და მნიშვნელობა; შემდეგ გვაჩვენეს თვით ჩაის მოსამზადებელი ქარხანა და აქაც დაწვრილებით გაგვაცნეს ყოველივე მანქანა და მისი მნიშვნელობა; დასასრულ მიგვიწვიეს განსაკუთრებით ჩვენთვის მომზადებულ ადგილას, სადაც ყველა ჩვენგანს ტკბილი ჩაით გაგვიმასპინძლდნენ: და წამოსვლის დროსაც მეოთხედი გირვანქა ჩაიც გამოგვატანეს...

დავბრუნდით იქედან სულით და გულით კმაყოფილნი და ჩქარა მატარებელმაც გაგვაქანა ბათომისაკენ... ბათომში სადგურზე ჩამწკრივებულიყვნენ ჩვენი ბათომელი ამხანაგები—მუშები, რომელთაც მკლავზე და გულზე წითელი ნიშნები ჰქონდათ აქედან ყველა ერთად გავემგზავრეთ შეპელოვის ქუჩაზე, სადაც დაგვხვდა ჩვენი სიამაყე—წითელი გვარდია მუსიკით...

აქ გაიმართა მიტინგი. მისალმების ნიშნათ წარმოსთქვეს სიტყვები ამხანაგ ხელაძემ, აიოლომ. ერთი ამხანაგი, ნაძალადევის პირველ რაიონის მუშების სახელით მიესალმა ბათუმელ ამხანაგებს, შემდეგ მოკლეთ აუხსნეს მუშებს დღევანდელი მომენტის და შეერთებული ძალის მნიშვნელობა. ამის შემდეგ მთელი პროცესია დაიძრა დანიშნულ მოედნისაკენ, სადაც დაგვიხვდა ცეცხლის მქრობელი რაზმი. ოთხი წყალსადენ მილებიდან ჰაერს აგრილებდნენ... აქ დაიშალა მიტინგი და აქედანვე გავემართეთ „ბათუმის ქართველთა ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ქალთა წრის იაფ ფასიან სასადილოში".

აქაც იგივე ქართველური გულუხვი მასპინძლობა და პატივისცემა დაგვიხვდა! სასადილო მშვენივრათ იყო მორთულ მოკაზმული ყვავილებით წითელ და ეროვნულ დროშებით მოფენილი და სამაგალითო სისუფთავე იყო დაცული სადილი საუკეთესოდ და ორგვარად იყო მომზადებული.

ნასადილევს ამხანაგებმა მიგვიწვიეს ზღვაზე, სადაც ჩვენთვის მომზადებული იყო ორი მატორიანი ნავი, ერთი იალქნიანი გემი და ერთიც მოზრდილი ნავი. სამი საათის განმავლობაში ზღვაში გვასეირნეს... სეირნობის შემდეგ, საღამოს 8 საათზე, ყველა ერთად გავემგზავრეთ რკინის გზის თეატრში იქ. დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, გაიმართა მიტინგი, წარმოითქვა მრავალი საგულისხმიერო სიტყვები; თუმცა აქაც გამოჩნდნენ ბოლშევიზმის ბაცილებით გაჟღენთილნი მაგრამ იმათ სიტყვას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა დამსწრეთათვის, როგორიც წვიმის წვეთს შავი ზღვისათვის. . დასასრულ არ შემიძლიან ჩემი ამხანაგების დავალებით უგულითადესი მადლობა არ გადავუხადო ჩვენს ბათუმელ ამხანაგებს ასეთი წრფელი გულით მიღების და მასპინძლობისათვის.

ალექს. ნ. ბაჯიაშვილი.

მეტყევეთა კავშირში.

თბილისის ძველი მეტყევეთა პროფესიონალური კავშირის წევრებმა რიცხვით 95 კაცმა, პარასკევს, 30 ივლისს ვიქონიეთ რა მსჯელობა ახალ მეტყევეთა კავშირში ჩაწერის შესახებ, დავადგინეთ: ვინაიდან მეტყევეთა პროფეს. კავშირი გაუქმებულ იქმნა მისი სხვა და სხვა გვარი „მოღვაწეობისათვის" პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ, ჩვენ, ძველი კავშირის წევრები, ქვემორე ხელის მომწერნი ვუცხადებთ ძველი კავშირის მესვეურთ ჩვენს გულის წყრომას, ვიწონებთ პროფეს. კავშ. საბჭოს მიერ გადადგმულ ნაბიჯს მეტყევეთა პროფესიონალურ კავშირის (ძველის) საქმეში. ვეგებებით ახალ მეტყევეთა კავშირს და ვსთხოვთ უკანასკნელის გამგეობას მიგვიღოს კავშირში და ჩვენ ვსდებთ ფიცს, რომ მთელი ჩვენი ენერგიით დავიცავთ ახალ კავშირს—შემდგარს სწორე გზაზე.

ხელს აწერს 95 მუშა.

თბილისი 11 აგვისტოს შესდგა ქალაქის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ყველა ადგილობრივ კომიტეტების მდივნების კრება. ვინაიდან ოც და ექვსი კომიტეტიდან კრებას დაესწრნენ მხოლოდ შვიდიდან, ამისათვის კრებას მიეცა თათბირის ხასიათი. თათბირი გახსნა აღმასრულებელ კომიტეტის მდივანმა აკაკი თათარიშვილმა, რომელმაც გააცნო თათბირს, რომ კრების მოწვევის მიზანი იყო მოესმინა ცენტრს ადგილებიდან მოხსენებები, გაეცნობოდა პერიფერიების მდგომარეობას ყოველ მხრივ და, უმთავრესად, გაეცნო კრებისთვის კომიტეტის მიერ შემუშავებული სამუშაო ინსტრუქციები და მიეცა მდივნებისთვის დირექტივები ადგილობრივათ სამუშაოთ. შემდეგ ამხ. თათარიშვილმა გააკეთა მოკლე მოხსენება პროფესიონალურ საკითხებზე და კავშირების მნიშვნელობაზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოკლე მოხსენებები ადგილებიდან.

შემდეგ დაადგინეს კრება მოწვეულ იქნას 14 აგვისტოს.

დ. ქუჩულორია.

პროვინცია

დუშეთი. სოფ. ახატნის თავზე, თიანეთის საზღვართან, 21 ივლისს დილის 3 საათზე დუშეთის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწის და დუშეთის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ტატე შუშაშვილის მეთაურობით ყაჩაღთა ბრბოს ალყა ჰქონდა შემორტყმული მილიციელთა და გვარდიელთაგან და დიდი ხნის სროლის შემდეგ ყაჩაღების მხრივ მოკლული აღმოჩნდა თიანეთის მაზრის მცხოვრები დონდუაშვილი და დუშეთის მაზრიდან—მერაბიშვილი; დაიჭრა ი. მექვაბიშვილი, რომელიც თბილისის მეტეხის ციხეში გაგზავნის შემდეგ გარდაიცვალა, დანარჩენები გაიქცნენ.

მოკლულ ყაჩაღებს თან აღმოაჩნდათ სია იმ პირთა, რომელთაც მოკვლით ემუქრებოდნენ, სხვათა შორის ამ სიაში აღნიშნული იყვნენ ანთელავა, შუშიაშვილი და სამი მილიციონერი. მიღებულია ზომები გაქცეულთა დასაჭერათ.

თიანეთი. ამ ბოლო ხანებში თიანეთის მაზრას გამოცოცხლების ელფერი დაეტყო. ადგილობრივ სამაზრო მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირთან არსებულმა კულტურა-განათლების სექციამ ფრიად საყურადღებო ნაბიჯი გადადგა. სდგამენ ხშირად წარმოდგენებს, და კითხულობენ ლექციებს. კვირას ამავე კულტურა-განათლების სექციის თაოსნობით პროფესიონალურ კავშირის სასარგებლოთ, ადგილობრივ მუშათა კლუბში დაიდგა „არსენა" დრ. 3 მოქმედ. ალ. ყაზბეგისა. მონაწილეობას ღებულობდენ ახლად ჩამოსული და ადგილობრივი დრამატიული ძალები. საღამოს აუარებელი ხალხი მოაწყდა სხვადასხვა სოფლებიდან, რაიც დარბაზმა ვერ დაიტია, წარმოდგენა საინტერესოთ ჩატარდა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

გ. ბორჩხაძე.

ჭაბუკიანის თემი. (სიღნაღის მაზრა). ვგონებთ, არც ერთს თემში აგრარული საკითხი ისე აწეწილ-დაწეწილი არ უნდა იყვეს, როგორც აქ. რამდენი შუამდგომლობა არ იქნა აღძრული როგორც სამაზრო ერობაში, აგრეთვე სამინისტროში. როგორც მიწერ-მოწერით, აგრეთვე დელეგაციის სახით, მაგრამ საქმის მოგვარებას მაინც არა ეშველა რა: მიწის საკითხი დღითი-დღე მწვავდება და ხალხში დიდი მღელვარება და უკმაყოფილება. ამ სამი დღის წინად ამ ნიადაგზე ორ მეზობელთა შორის კინაღამ სისხლის ღვრა მოხდა, რომ მოწინავე პირები არ ჩარეულიყვნენ და აღელვებული ხალხი არ შეეჩერებინათ იმ იმედით, რომ იქნება მიღებული მათ მიერ ყოველ-გვარი ზომები საქმის მოსაწესრიგებლათ. საკითხს უმეტესად ართულებს შემდეგი გარემოება: 1) ჭაბუკიანის თემში ამ ერთი წლის წინეთ მთავრობამ ჩამოასახლა ლტოლვილში—ალაგირლები, რომელთაც ზოგიერთების აზრით სამინისტრო გაცილებით მეტს ყურადღებას აქცევს, ვიდრე ადგილობრივ ძველ მცხოვრებთ. 2) გურჯაანის და ანაგის თემებთან ჭაბუკიანის თემმა, ვერავითარი შეთანხმებითი საზღვარი ვერ დასდო, რის ნაყოფი არის ხშირი კონფლიქტები. მოსაზღვრე თემებთა შორის, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს ყოველ გაუგებრობას და აგრარული რეფორმაც დროზე და სასურველათ გატარდეს ხსენებულ თემში, საჭიროა ცენტრალურმა მთავრობამ მიიღოს რადიკალური ზომები. ხშირათ იგზავნება ხოლმე დელეგაცია თფილისში, ხშირათ მიდის ხოლმე ადგილობრივ გადასახლების გამგე ბ. მარუაშვილი და გვპირდება საქმის კეთილად დაგვირგვინებას, მაგრამ დაპირება დაპირებათ რჩება და შედეგი კი არავითარი არ არის. პირიქით, საკითხი უფრო მწვავდება ვშიშობთ, რომ ცუდი შედეგები არ მოჰყვეს.

ჭ. ჩ.

აბასთუმანი. წელს აქ შედარებით ცოტა ხალხი მოვიდა დასასვენებლად, რაც აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ არავინ იცოდა სეზონი გაიხსნებოდა თუ არა (შიშიანობის გამო) და მეორე—ძვირი ჯდება ბორჯომიდან მოგზაურობა. ავტომობილს მიაქვს კაცზე 1500 მ. და ზოგჯერ გზაში გტოვებს გაფუჭების გამო! მგზავრებს ხშირად 3—4 დღე ცდა უნდებათ ბორჯომში, სანამ ავტომობილს იშოვნიდენ.

შედარებით აქ ცხოვრება იაფია: თეთრი პური აქამდე ღირდა (გირვანქა ეძლეოდა სულზე) 30 მ., 9 აგვისტოდან კი ეძლევა მხოლოდ მძიმე ავადმყოფებს ექიმების მოწმობით და უმაღლეს დაწესებულებების მოხელეებს. შავი პური კი ღირს 25 მ. ხორცი ძროხის 30 მ. ცხვრის 40 მ. რძე 30 მ. ღვინის ბოთლი, მაგრამ არ არის საკმაო, კარაქი 180 მ. ღირდა, ეხლა გაიძვირეს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წელს აბასთუმანს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული; არის კოოპერატივი „ჯანმრთელობა", მაგრამ ის უფრო სახელათ თუა, თორემ შიგ არაფერია. ამიტომ მოაგარაკეებს აერჩია დროებითი კომიტეტი, მაგრამ საქმე ვერც იმათ მოეწესრიგებია. ამიტომ მოაგარაკეთა საზოგადო კრებამ 9 აგვ. ესინი გამოსცვალა და აირჩია ხელახალი დროებითი კომიტეტი.

თუ არა კერძო ინიციატივა ხალხი თითქმის სულ ვერაფერს იშოვიდა, გარდა პურისა. გული გილონდება როცა ხედავ კერძო პირები ჩინებულად ვაჭრობენ, ხოლო საზოგადო დაწესებულებას კი სძინავს და არავინ არის ყურისმგდებელი, რაც დღევანდელ დროში დიდ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს ყველა ცოტათი შეგნებულ ადამიანს. ეს ათი დღეა ფოსტას ყოველ დღე ვღებულობთ.

№

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი:

დღემდის მე ვითვლებოდი კომუნისტური პარტიის წევრად. დღეიდან გამოვდივარ ამ პარტიიდან, რასაც ვაცხადებ საყოველთაოდ.

სოფ. ხეთა (ზუგ. მაზრა) 13 აგვ. 1920 წ.

კოსტა შელია.

ცნობები

გაზეთ „საქართველოს" თანამშრომელი ქ. ოდიშარია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პარასკევს 14 ამა მარიამობისთვეს საღამოს მატარებელში ასვლის დროს სამტრედიაში ამოაცალეს მას ჯიბიდან საფულე, რომელშიაც იყო 2500 მან., გაზ: „საქართველოს" თანამშრომლობის მანდატი (წიგნაკი), მისი სამსახურის მანდატი და სხ. მრავალი მანდატები ქართველ საქველმოქმედო და საზოგადო მოღვაწეობისა, ხსენებული ოდიშარია სთხოვს წამღებს კეთილინებოს ფული თვითონ მოიხმაროს, ხოლო საბუთები საფულეთი გაუგზავნოს მას ფოსტით ფოთში, სამსახურის მანდატზე ნაჩვენებ მისამართით.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

კბილებს
ძველს, ხელოვნურს კარგი ღირსებისას
ვყიდულობ მაღალ ფასებში
პეტროგრადის ქ. № 3 გოლდფერტი
შესასვლელი ბაპტისტების სამლოცველო
სახლის ქვედა სართულში მარცხნივ.
(2686—3—1)

იყიდება
საუკეთესო ჯიშის
მეწველი ძროხა
და ხარი—1 წლის და 2 თვის, აგრეთვე იყიდება სხვადასხვა საოჯახო ნივთები. ნახვა ყოველ დროს შეიძლება. გოგოლის ქ. № 49.
(2689—1—1)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით [illegible] საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22. [illegible]

ოზურგეთში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში.
(თ. 2634.)

ექიმი
ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(2264—თ.)

ექიმქა
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(თ. 2528)

ექიმი ივ. გოკერია
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 14 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქირურგ., ქალის სნეულებანი და [illegible] 1—2 ს. და 5—6 საათამდე ტელეფონი 5—97. (1835 თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს [illegible] მალეინის შეხაპუნებით. [illegible] ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(თ. 2577)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914, ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს.
(2446—თ.

ექიმი
[illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. [illegible] ქ. № 5. ტელეფ. 10—53.
(1742 თ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმი ა. ლ. კაკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი ლ. ა. სარალიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს
(2383—თ.)

ექიმი
[illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის) ტელეფონი 7—38. (1741 თ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

გამოვიდა
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
„სოფლის მუშა"
ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა
გაზეთი გამოვა ორშაბათობით
მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის" სახელმწიფო-თეატრისა, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშა"-სათვის".
სარედაქციო კოლეგიაში შედიან:
ალ. ლომთათიძე.
ივ. გომართელი.
სტ. ჟღენტი.